თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი

გიორგი ფარულავა

ტერორისტული აქტები ქართულ სატელევიზიო მედიაში - ნორმატიული ასპექტების კრიტიკული გააზრება არსებულ პრაქტიკაში

მასობრივი კომუნიკაციისა და მედიის კვლევები

ნაშრომი შესრულებულია სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა მაგისტრის აკადემიური ხარისხის მისაღებად

ხელმძღვანელი: ასოცირებული დოქტორი ხათუნა მაისაშვილი

თბლისი

2021

ანოტაცია

ტერორიზმთან დაკავშირებული საკითხები საქართველოში საკმაოდ აქტუალური თემაა. მედია ტერორიზმთან დაკავშირებული ამბების მიმართ დიდ ყურადღებას იჩენს და განსაკუთრებული აქტიურობით აშუქებს მათ, რადგან მსგავსი ტიპის ამბები მედიისთვის დიდ რეიტინგს ნიშნავს. თავის მხრივ კი ტერორისტებიც დაინტერესებულები არიან, რომ მედიამ მათ მიერ განხორციელებული აქტები გააშუქონ, რისი კარგი მაგალითიც, ზუგდიდში „საქართველოს ბანკის“ ფილიალზე თავდასხმა გახლავთ.

გამომდინარე იქიდან, რომ მედია ტერორისტული აქტების მიმართ დიდ ყურადღებას იჩენს, მნიშვნელოვანია ვიცოდეთ თუ რამდენად ეთიკურად აშუქებს ქართული სამაუწყებლო მედია მსგავს ამბებს. ჩვენი კვლევის მთავარ ამოცანას სწორედ ამ საკითხის შესწავლა წარმოადგენს. კვლევის მთავარი მიზანია, საერთაშორისო რეკომენდაციებზე და საქართველოში არსებულ კანონებზე დაყრდნობით, შევისწავლოთ რამდენად სწორად, სტანდარტების, რეკომენდაციებისა და კანონების დაცვით ახდენს ქართული სამაუწყებლო მედია ტერორიზმთან დაკავშირებული საკითხების გაშუქებას. შესაბამისად, ჩვენი თემის სათაურია: ტერორისტული აქტები ქართულ სატელევიზიო მედიაში - ნორმატიული ასპექტების კრიტიკული გააზრება არსებულ პრაქტიკაში.

საკითხის დეტალურად წარმოსაჩენად და ჩვენი კვლევის ზოგადი თეორიული ჩარჩოს შესაქმნელად, გამოვიყენეთ „ფრეიმინგის“ თეორია. ამასთან, ჩვენ ტერორიზმთან, ტერორიზმისა და მედიის ურთიერთქმედებასთან დაკავშირებით არაერთი უცხოელი მკვლევრის მოსაზრება მოვიყვანეთ მაგალითის სახით, რათა აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით სრული სურათი შეგვექმნა. ქართულ სატელევიზიო მედიაში ტერორიზმთან დაკავშირებული საკითხების შესასწავლად, ტელევიზიები რეიტინგის მიხედვით ავირჩიეთ, რის შემდეგაც ემპირიულ მასალაზე დაყრდნობით თითოეული მათგანის მონიტორინგი განვახორციელეთ, თუ როგორ აშუქებდნენ ისინი ამა თუ იმ ტერორისტულ აქტს ან ანტიტერორისტულ სპეცოპერაციას.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, ტელევიზიების მუშაობის სპეციფიკის შეფასებისას, სუბიექტური აზრის თავიდან ასაცილებლად კვლევის ფარგლებში მოქმედი ჟურნალისტები გამოვკითხეთ, რომლებმაც ჩვენს მიერ შერჩეული ტერორისტული აქტების გაშუქების სპეციფიკა შეაფასეს და შემოგვთავაზეს საკუთარი მოსაზრება იმასთან დაკავშირებით, თუ როგორ უნდა მომხდარიყო მსგავსი ამბების სწორად გაშუქება. ამასთან, განგვიმარტეს ის ფაქტორები, რომლებიც ტერორიზმთან დაკავშირებული ამბების გაშუქებისას, მედიის მხრიდან ეთიკური ნორმებისა და სტანდარტების დარღვევას იწვევს.

Annotation

Giorgi Parulava

Terrorist Acts coverage in Georgian TV Media - A Critical Rethinking of the Normative Aspects of Contemporary Practice

The problem of terrorism in Georgia is very urgent. The media pay great attention to news related to terrorism and cover them with particular activity, because such a news means a high rating for the media, and terrorists are also interested in media coverage of their actions a good example of which is the attack in the City of Zugdidi on the office "Bank of Georgia".

Due to the fact that the media devote a lot of attention to terrorist acts, it is important to know how ethically the Georgian broadcast media are covering such news. The main task of our research is to study this issue. The main purpose is to study, based on existing Georgian and international recommendations and laws in force in Georgia how correctly in accordance with standards, recommendations and laws, the Georgian broadcast media cover issues related to terrorism. Accordingly the title of our topic is : Terrorist Acts coverage in Georgian TV Media - A Critical Rethinking of the Normative Aspects of Contemporary Practice.

We used framing theory to detail the problem and create a general theoretical framework for our research. In addition, we have cited the views of a number of foreign researchers on terrorism and the interaction of terrorism and the media to give a complete picture of the problem. To study issues related to terrorism in Georgian TV channels, we selected TV channels according to the rating, after which we monitored each of them for how they covered a particular terrorist act or anti-terrorist special operation.

In this regard, assessing the specifics of the work of TV companies, in order to avoid subjective opinion, during the survey, current journalists were interviewed, who assessed the specifics of coverage of certain terrorist acts and expressed their opinion on how to properly cover such news. At the same time, they explained the factors that lead to violations of media ethics and standards when covering news related to terrorism.

სარჩევი

1. შესავალი 6
2. მეთოდოლოგია 8
3. ლიტერატურის მიმოხილვა 9
3.1. „ფრეიმინგის“ თეორია 9
3.2. ტერორიზმის მცნება 11
3.3. ტერორიზმის კომუნიკაციური საფუძველი 15
4. ძირითადი ნაწილი 18
4.1. აღწერა 19
4.2. ანტიტერორისტული სპეცოპერაცია ბერი გაბრიელ სალოსის ქუჩაზე - თბილისი 23
4.3. თავდასხმა „საქართველოს ბანკის“ ფილიალზე - ზუგდიდი 36
6. დასკვნა 53
ბიბლიოგრაფია 55

1. შესავალი

ტერორიზმი თანამედროვე ეპოქის ერთ-ერთ მთავარ გამოწვევას წარმოადგენს. ტერორისტები ყოველდღიურად პლანეტის სხვადასხვა წერტილში, სხვადასხვა ქვეყანაში, უდიდეს საფრთხეს უქმნიან ადამიანებს, იქნება ეს მატერიალური თუ არამატერიალური ზიანი. ტერორიზმის მთელს მსოფლიოში კიბოს მსგავსად მოდება შესაძლოა აიხსნას მრავალი იმ ფაქტორით, რომელიც ტერორისტული საქმიანობის ეფექტურ გავრცელებასა და გასაჯაროებას ემსახურება. ძირითადად ეს მასობრივი კომუნიკაციის საშუალებებით ხდება. შესაბამისად, ტერორიზმთან დაკავშირებული საკითხების გასაშუქებლად მედიისთვის უამრავი სტანდარტი, კანონი და რეკომენდაცია არსებობს. ჩვენი კვლევის ძირითად საგანს სწორედ ეს მიმართულება წარმოადგენს, თუ რამდენად იცავენ ქართულ სატელევიზიო მედიაში ტერორიზმთან დაკავშირებული საკითხების გაშუქების სტანდარტებს.

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში ტერორისტული აქტები იშვიათად ხორციელდება, გამონაკლისი არც ჩვენი ქვეყანაა და ტერორიზმის მსხვერპლი ჩვენი თანამოქალაქეებიც ხდებიან. თავისუფალი საქართველოს ისტორიაში არაერთი გახმაურებული ტერორისტული აქტი განხორციელდა, რომელმაც ადამიანების სიცოცხლე იმსხვერპლა. თავის მხრივ, ტერორისტული აქტი ისედაც საზარელი მოვლენაა და საზოგადოებაზე ძალიან ნეგატიურ გავლენას ახდენს. თუმცა ამ ნეგატიური გავლენის გაზრდაში და საზოგადოების კიდევ ურო მეტად დათრგუნვაში, ხშირად მედია ძალაუნებურად ტერორისტების ხელშემწყობად გვევლინება.

როგორც ალექსანდერი და ლატერი თავის ნაშრომში აღნიშნავენ, მედია ორი ურთიერთგამომრიცხავი სიტუაციის წინაშე დგება. ერთის მხრივ, ტერორიზმი აქტუალური თემაა და თან ტერორისტული აქტი არის „ნიუსი“, რომლის გაშუქებაც მედიის პირდაპირი მოვალეობაა. მაგრამ მეორეს მხრივ, მედიასაშუალებამ შეიძლება უარყოფითი ზეგავლენა იქონიოს საზოგადოებაზე. ამ შემთხვევაში საჭიროა, რომ მედიამ ტერორიზმის რომანტიზება არ მოახდინოს. მკვლევრების დასკვნის მიხედვით, ბალანსის დაცვა ამ ორ უკიდურესობას შორის ძალიან რთულია, თუმცა მედიის მიერ ტერორიზმის საკითხების იგნორირება გამორიცხულია. ამასთან, შესაძლებელია მედიამ

საზოგადოებაში შიშის დანერგვით ტერორისტებს თავიანთი მიზნის მიღწევაში ხელი შეუწყოს (Alexander & Latter, 1990).

თავის მხრივ, საკითხი ძალიან აქტუალური, მნიშვნელოვანი, საყურადღებო და როგორც ბოლო პერიოდში, თუნდაც ზუგდიდში „საქართველოს ბანკის“ ფილიალზე განხორციელებული თავდასხმის გაშუქების სპეციფიკამ აჩვენა, პრობლემატურია. ამ თემასთან დაკავშირებით არაერთი უცხოური კვლევა არსებობს, თუმცა ძალიან მწირია ინფორმაცია, რომელიც უშუალოდ საქართველოს მაგალითებზე იქნება აგებული. სწორედ უცხოურ მაგალითებზე დაყრდნობით და უცხოელი მკვლევრების მოსაზრებების მიხედვით შევეცდებით ქართულ სატელევიზიო მედია სივრცეში ტერორიზმთან დაკავშირებული საკითხების შესწავლასა და გაანალიზებას, რაც ნათელს მოჰფენს სატელევიზო სივრცეში აღნიშნული საკითხის გაშუქების სპეციფიკას, სტანდარტებს, ნორმებსა და ამ თემასთან მიმართებით ჟურნალისტების კვალიფიკაციას.

2. მეთოდოლოგია

ჩვენი კვლევის მთავარი მიზნის მისაღწევად გამოყენებული მეთოდოლოგია ორ ძირითად ნაწილს მოიცავს: პირველი ნაწილი შეეხება ლიტერატურის მომოხილვას, რომელიც დაფუძნებულია აკადემიურ წყაროებზე. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებული ლიტერატურის მიმოხილვა საშუალებას გვაძლევს, შევქმნათ ზოგადი თეორიული ჩარჩო, წარმოვაჩინოთ აღნიშნულ საკითხთან დაკავშრებით სხვადასხვა მკვლევრის მოსაზრება და კვლევის შედეგი. ამასთან, ლიტერატურის მიმოხილვა საშუალებას მოგვცემს სწორად დავაფიქსიროთ ის ზოგადი მოსაზრება რაც თემის მიმართ გვაქვს. ლიტერატურის მიმოხილვა ჩვენს შემთხვევაში სამ ქვეთავად შეიძლება დაიყოს, რომელიც თავის თავში მოიცავს „ფრეიმინგის“ თეორიის, ტერორიზმის მცნებისა და ტერორიზმისა და მედიის კავშირის, ანუ ტერორიზმის კომუნიკაციური საფუძვლების განხილვას. თითოული ეს მიმართულება ჩვენი კვლევის ძირითად ასპექტებს წარმოადგენს და მნიშვნელოვანია კვლევის საბოლოო შედეგის მისაღებად.

ჩვენი მეთოდოლოგიის მეორე ნაწილი უშუალოდ მაგალითების შესწავლას მოიცავს. ემპირიულ მასაზე დაყრდნობით, ჩვენ შევისწავლეთ ქართული სამაუწყებლო მედიის მუშაობის სპეციფიკა, ტერორისტული აქტებისა და ანიტერორისტული სპეცოპერაციების გაშუქების დროს. მუშობის სპეციფიკის შეფასება, მედია ქარტიის, „საზოგადოებრივი მაუწყებლისა“ და BBC-ის სტანდარტების მიხედვითა და „მაუწყებლის ქცევის კოდექსის“ შესაბამისად მოხდა. ამასთან, კვლევის ფარგლებში ტელევიზიების შერჩევა რეიტინგის მიხედვით განხორციელდა. სუბიექტური შეფასებისგან თავდაცვის მიზნით, ტერორისტული აქტების გაშუქების სპეციფიკა მოქმედ ჟურნალისტებს, რედაქტორებსა და ოპერატორებს შევაფასებინეთ, მათ შორის იყვნენ ის ჟურნალისტებიც, რომლებიც უშუალოდ მონაწილეობდნენ ჩვენს მიერც განხილული ტერორისტული აქტების გაშუქებაში.

3. ლიტერატურის მიმოხილვა

3.1. „ფრეიმინგის“ თეორია

მედია ფრეიმების დახმარებით, რომელიმე კონკრეტული მოვლენის გარკვეულ მომენტებს ირჩევს და მათ წინ წამოწევს, რათა საზოგადოებისთვის რთული საკითხი მეტად გასაგები და ნათელი გახადეს (Entmani, 1993)

როგორც ენტმანი განმარტავს, „რეალობის გარკვეული ელემენტების მეტად ან ნაკლებად წარმოჩენით მედია პრობლემის დეფინიციას, მისი მიზეზების ინტერპრეტაციას, მორალურ შეფასებასა და გამოსავლის ძიებას უწყობს ხელს“ (Entman, 1993).

ენტმანის მიხედვით: მეტაფორები, ძირითადი ფრაზები, სიმბოლოები და ვიზუალური გამოსახულება არის საშუალებები, რომლითაც თხრობის დროს ახალი ამბების ფრეიმები გამოიკვეთება. ენტმანი ასკვნის, რომ ტექსტს საზოგადოებისთვის კულტურულად ნაცნობი სიმბოლოებით ან გარკვეული გარემოების მეშვეობით, ცალკეული ნაწილების გამოკვეთა შეუძლია (Entman, 1993).

ენტმანი (Entman,1993) ფრეიმინგის თეორიის 4 ძირითად დანიშნულებას გვთავაზობს:

1. პრობლემის განსაზღვრა
2. მიზეზების დადგენა
3. მორალური შეფასების გაკეთება
4. გამოსავალი - პრობლემის გადაწყვეტის გზებზე მსჯელობა.

ვივერის (2007) აზრით, ფრეიმინგის თეორია ყურადღებას ამახვილებს შინაარსობრივ ნაწილზე, კაუზალურ შედეგებზე, პასუხისმგებლობის შემცველ საკითხებზე და მორალურ საკითხებზე. ვივერი (2007) თავის ნაშრომში, ფრეიმინგის თეორიის დეფინიციის განსამარტად სხვადასხვა წყაროებს იშველიებდა: „ეს არის ცენტრალურად ორგანიზებული იდეა ახალი ამბის შინაარსში, რომელიც წინ წამოსწევს ცალკეულ საკითხებს და ხაზს უსვამს მათ მნიშვნელობას” (სილბერმანი, ბლისი და განემი 1991, გვ.: 3).

კაპელა და ჯეიმსონი (Cappella and Jamieson, 1997): „იმის მიხედვით, თუ როგორ არის ახალი ამბები სტრუქტურირებული ჟურნალისტებისა და აუდიტორიის მიერ, ისინი შეიძლება იყოს მსგავსი ან განსხვავებული“. ამავე ავტორებმა ფრეიმინგის ეფექტების მოდელი შემოგვთავაზეს, რომლის მთავარი იდეა იმაში მდგომარეობს, რომ ახალი ამბების ფრეიმები კონკრეტულ ინტერესებს, იდეებს, შეფასებებსა და კონტრასტებს ააქტიურებს ამა თუ იმ საკითხის, პოლიტიკისა და პოლიტიკოსების შესახებ.

სქეიფილემ (Scheifele, 1999) ფრეიმინგის ეფექტის მიმდინარეობის მოდელი შემოგვთავაზა, რომელშიც იგი წარმოდგენილია, როგორც სამი განსხვავებული აქტორის ურთიერთქმედების შედეგი: დაინტერესებული წყაროები და მედიაორგანიზაციები, ჟურნალისტები (მედია) და აუდიტორია. ავტორის განმარტებით, არსებობს ორი სახის ფრეიმი: მედია ფრეიმი და ინდივიდუალური ფრეიმი. ორივე მათგანი შეიძლება იყოს, როგორც დამოუკიდებელი, ასევე დამოკიდებული.

„ამ მოდელის მიხედვით, არსებობს ოთხი ურთიერთდამოკიდებული ფრეიმინგის პროცესი, რომელშიც ეს აქტორები არიან ჩართულები. პირველი, როცა ჟურნალისიტებისა და ახალი ამბების ორგანიზაციაში მომუშავე სხვა ადამიანების მიერ ხდება მედია ფრეიმების კონსტრუირება და გამოყენება რუტინული წნეხის პირობებში. ასევე, როდესაც წყაროებთან მუდმივი გარიგბები მიმდინარეობს და „ახალი ამბების ღირებულებებისა“ და „ახალი ამბების ხედვის“ მოვლენასთან დაკავშირებას ცდილობენ. მეორე, როცა არის „ფრეიმირებული/კონსტრუირებული“ ახალი ამბების რეპორტაჟების ტრანსმისია (მაგ., პოლიტიკოსების მიმართ ცინიკური ხედვა) საზოგადოებაში. მესამე, როცა ხდება გარკვეული ფრეიმების მიღება აუდიტორიის წევრების მიერ, რომელსაც აქვს შედეგი ატიტუდებზე, თვალსაზრისზე (მაგ., ცინიზმი) და ქცევაზე (მაგ., არაჩართულობა)“ (Scheifele, 1999).

დრიუკმენს (2001) ფრეიმინგის თეორიაზე საუბრისას სხვადასხვა ავტორის განმარტებები მოჰყავს: „ფრეიმი წარმოადგენს ცენტრალურად ორგანიზებულ იდეას ან ისტორიას, რომელიც საზოგადოების ყურადღებას მიმართავს ერთი ვიწრო საკითხისადმი. ფრეიმი აუდიტორიას ამბის მთავარ საკითხზე ფოკუსირებას სთავაზობს” (გემსონი და მოდილიანი, 1987, გვ.: 143). „ფრეიმინგი წარმოაჩენს, თუ როგორ, რა კონკრეტული იდეით არის დაწერილი და მიწოდებული ესა თუ ის ამბავი. ის შეიცავს

საორიენტაციო სათაურებს, სპეციფიურ, საჭირო სიტყვებს და ა.შ.“ (კაპელლა და ჯეიმსონი, 1997, გვ.: 39).

ნისბეტი და მუუნი (2007) განმარტავენ, რომ ფრეიმები ფოკუსირებულია ცენტრალური იდეის ორგანიზებაზე. მათი გამოყენებით, ჟურნალისტი კომპლექსური საკითხებიდან კონკრეტულ მოვლენებს გამოყოფს და მათ წამოწევს წინა პლანზე, რაც საზოგადოებას ეხმარება საკითხის მთავარი ასპექტების დადგენაში. ფრეიმინგის საშუალებით, მიმღები იღებს იმ ინფორმაციასაც თუ ვის ეკისრება პასუხისმგებლობა კონკრეტულ საკითხებზე და რა ქმედებები უნდა განხორციელდეს მათ მიმართ.

მაქლეოდმა და დეტენბერმა (McLeod and Detenber, 1999) კვლევის შედეგად აღმოაჩინეს, რომ ერთი და იგივე პროცესზე სხვადასხვანაირად აგებულ ახალ ამბებს, მაყურებელზე განსხვავებული ზეგავლენის მოხდენა შეუძლია.

ჯამლესონმა და ვოლდმანმა (Jamleson and Waldman, 2003) სადავო საპრეზიდენტო არჩევნების შედეგებთან დაკავშირებით, ელ გორის მარცხი ჯორჯ ბუშთან მიაწერეს იმას, თუ როგორ იყო საკითხი კონსტრუირებული.

იაინგარის (Iyengar, 1991) მიხედვით, სოციალური საკითხების გაშუქებისას ახალი ამბების ფრეიმები აუდიტორიაზე იმის მიხედვით ახდენს ზეგავლენას, თუ „რამდენად ადანაშაულებს აუდიტორია თავის უბედურებაში „მსხვერპლს“. 1991 წლის სპარსეთის ყურის შესახებ ჩატარებული კვლევის მიხედვით, ახალი ამბების ფრეიმინგმა აუდიტორიის წახალისებას შეუწყო ხელი, რათა მას უფრო მეტად დაეჭირა მხარი სამხედრო მოქმედებებისთვის, ვიდრე საკითხის დიპლომატიური გზით მოგვარებისთვის (Iyengar and Simon, 1997).

3.2. ტერორიზმის მცნება

ტერორიზმის მცნების ზუსტი განსაზღვრა მეცნერებისა და დანაშაულთან ბრძოლის პრაქტიკის ერთ-ერთ ურთულეს ამოცანას წარმოადგენს. შესაბამისად, ტერორიზმის ერთი კონკრეტული განმარტება არ არსებობს, რადგან მას მრავალფეროვანი დატვირთვა აქვს. ამ დროისათვის მსოფლიოში ტერორიზმის 200-მდე განსაზღვრება არსებობს, თუმცა მათგან არცერთი არა რის საერთაშორისოდ მიღებული, რაც ბუნებრივია ტერორიზმის მცნების სირთულით არის გამოწვეული. თითოული მკვლევარი, მეცნიერი

თუ სახელმწიფო მას თავისებურად განმარტავს, შესაბამისად ტერორიზმის მცნების კარგად გასააზრებლად საჭიროა რამდენიმე მათგანის მაგალითის სახით მოყვანა.

პოლიტოლოგ, უოლტერ ზე'ევ ლაქიორის მიხედვით, ტერორიზმი არის ძალადობა ან ძალადობის გამოყენების მუქარა, გარკვეული მიზნების მისაღწევად. ტერორიზმი არის ქმედება, არაჰუმანური და დაუნდობელი მეთოდით მსხვერპლი პანიკური შიშის მდგომარეობაში ჩააგდოს. მისი განმარტებით, საჯარო ქმედებები ტერორისტული სტრატეგიის აუცილებელი ფაქტორია (Laqueur, Walter, 1987).

ტერორიზმის საკითხების ექსპერტის, იონა ალექსანდერის თანახმად (Alexander, 1976), ტერორიზმი არის საზოგადოების დაშინების მეთოდი, რომელიც პოლიტიკურ მიზნების მისაღწევად, ძალადობრივ მეთოდებს იყენებს, შემთხვევითი სამოქალაქო სამიზნეების მიმართ.

(ერთა ლიგა, 1937) კონვენციაში ტერორიზმის თავისებურ განმარტებას გვთავაზობს, რომლის მიხედვითაც, „ტერორისტულ აქტად ითვლება ყველა ის დანაშაულებრივი ქმედება, რომელიც მიმართულია სახელმწიფოს წინააღმდეგ და მიზნად ისახავს, ცალკეულ პირთა, პირთა ჯგუფის ან ფართო საზოგადოების ცნობიერებაში წარმოქმნას ტერორის შეგრძნება“.

აშშ-ის კალიფორნიის უნივერსიტეტის პოლიტოლოგიის პროფესორის, დევიდ რაპაპორტის განმარტებით, „ტერორიზმი არის ძალადობის გამოყენება, ხალხის ცნობიერებაში გარკვეული სიმპათიის ან შიშის პროვოცირების მიზნით“ (Rapoport, 1977).

ტერორიზმთან ბრძოლის შესახებ საქართველოს კანონის მიხედვით, ტერორიზმი არის „ძალადობა ან ძალადობის გამოყენების მუქარა, მიმართული ფიზიკური ან იურიდიული პირების წინააღმდეგ, შენობა-ნაგებობების, სატრანსპორტო საშუალებების, კომუნიკაციების და სხვა მატერიალური ობიექტების განადგურება - დაზიანება ან მათი განადგურება -დაზიანების მუქარა იარაღის, ასაფეთქებელი მასალების, ბირთვული, ქიმიური, ბიოლოგიური თუ სხვა, ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საშიში ნივთიერების გამოყენებით ან ადამიანის გატაცებითა თუ მძევლად აყვანით, რათა ხელისუფლება ანდა მისი რომელიმე ორგანო ან საერთაშორისო ორგანიზაცია იძულებული გახდეს, განახორციელოს გარკვეული ქმედება ან თავი შეიკავოს

გარკვეული ქმედების განხორციელებისგან, რომელიც ტერორისტების მართლსაწინააღმდეგო ინტერესებში შედის“.[1]

ამავე კანონის მიხედვით, ტერორისტული აქტის განისაზღვრება, როგორც აფეთქება, ცეცხლის წაკიდება, იარაღის გამოყენება ან სხვა ქმედება, რომელიც ქმნის ადამიანის სიცოცხლის მოსპობის, მნიშვნელოვანი ქონებრივი ზიანის ან სხვა მძიმე შედეგის განხორციელების საშიშროებას, ხელყოფს საზოგადოების უსაფრთხოებას, სახელმწიფოს მნიშვნელოვან პოლიტიკურ ან ეკონომიკურ ინტერესს და ჩადენილია მოსახლეობის დაშინების ან ხელისუფლების ორგანოზე ზემოქმედების მიზნით; აღნიშნულ კანონში ტერორისტული აქტების გაშუქების სპეციფიკისა და შეზღუდვების შესახებ, მე-13 მუხლშია საუბარი, რომელიც ორ ნაწილად იყოფა. პირველ პუნქტში საუბარია მოსახლეობის ინფორმირებაზე, ხოლო მეორეში, უშუალოდ მედიის მიერ საკითხის გაშუქების სპეციფიკაზე. მე-13 მუხლის თანახმად, კონტრტერორისტული ოპერაციის ჩატარებისას ტერორისტული აქტის შესახებ, მოსახლეობის ინფორმირება მასობრივი ინფორმაციის საშუალებით ან მოსახლეობისათვის ხელმისაწვდომი სხვა ფორმით ხდება. ინფორმაციის მოცულობას „სახელმწიფო საიდუმლოების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად განსაზღვრავს კონტრტერორისტული ოპერაციის ხელმძღვანელი. სახელმწიფო საიდუმლოებად მიჩნეული ინფორმაციის გახმაურება იწვევს პასუხისმგებლობას საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით. ამავე მუხლის მეორე პუნქტში ნათქვამია, რომ კონტრტერორისტული ოპერაციის ჩატარების ზონაში შეზღუდულია სატელევიზიო, სამაუწყებლო მობილური სადგურების ან/და მასობრივი ინფორმაციის საშუალებების რეპორტიორთა ყოფნა, რის შესახებაც გადაწყვეტილებას იღებს ექსტრემალური სიტუაციების მართვის ოპერატიული შტაბი.[2]

აშშ-ის თავდაცვის დეპარტამენტის მიხედვით, ტერორიზმი ეს არის, ძალადობის სისტემატური გამოყენება მოსახლეობაში შიშის ზოგადი კლიმატის შესაქმნელად და ამით კონკრეტული პოლიტიკური მიზნის მისაღწევად.

---

[1] საქართველოს კანონი ტერორიზმთან ბრძოლის შესახებ https://matsne.gov.ge/ka/document/view/21796?publication=11 ბოლო ნახვა, 2021 წლის მაისი.

[2] საქართველოს კანონი ტერორიზმთან ბრძოლის შესახებ, მე-13 მუხლი https://matsne.gov.ge/ka/document/view/21796?publication=11 ბოლო ნახვა, 2021 წლის მაისი.

აშშ-ის ცენტრალური სადაზვერვო სააგენტო (CIA), ტერორიზმს შემდეგნაირად განმარტავს: „ძალადობის წინასწარ დაგეგმილი და არაიმპულსური აქტი, ქმედება, რომელიც განსაზღვრულია პოლიტიკური წესრიგის შესაცვლელად. ქმედება, რომელიც მიმართულია სამოქალაქო პირების წინააღმდეგ და ხორციელდება ქვე ეროვნული დაჯგუფების მიერ“ (დავით სუჯაშვილი, 2019).

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 323-ე მუხლის მიხედვით, ტერორიზმი ეს არის: „ტერორისტული აქტი, ესე იგი აფეთქება, ცეცხლის წაკიდება, ადამიანზე თავდასხმა, იარაღის გამოყენება ან სხვა ქმედება, რომელიც ქმნის ადამიანის სიცოცხლის მოსპობის, მნისვნელოვანი ქონებრივი ზიანის ან სხვა მძიმე შედეგის განხორციელების საშიშროებას“.[3]

ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ საქართველოს ეროვნული სტრატეგიის დოკუმენტში, ტერორიზმის განმარტება შემდეგნაირია: „ტერორიზმი არის ძალადობა ან ძალადობის გამოყენების მუქარა, მუმართული ფიზიკური ან იურიდიული პირების წინააღმდეგ, შენობა ნაგებობების, სატრანსპორტო საშუალებების, კომუნიკაციების და სხვა მატერიალური ობიექტების განადგურება-დაზიანების, ან მათი განადგურება-დაზიანების მუქარა იარაღის, ასაფეთქებელი მასალების, ბირთვული, ქიმიური, ბიოლოგიური თუ სხვა, ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საშიში ნივთიერებების გამოყენებით ან ადამიანის გატაცებითა თუ მძევლად აყვანით, რათა ხელისუფლება ანდა მისი რომელიმე ორგანო ან საერთაშორისო ორგანიზაცია იძულებული გახდეს, განახორციელოს გარკვეული ქმედება ან თავი შეიკავოს გარკვეული ქმედების განხორციელებისგან, რომელიც ტერორისტების მართლსაწინააღმდეგო ინტერესებში შედის“.[4]

---

[3] საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი 323-ე მუხლი, https://matsne.gov.ge/ka/document/view/16426?publication=233 ბოლო ნახვა 2021 წლის მაისი.

[4] ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ საქართველოს ეროვნული სტრატეგია 2019, გ.ვ 4. http://gov.ge/files/524_69782_874672_rotated_53.pdf?fbclid ბოლო ნახვა, 2021 წლის მაისი.

3.3. ტერორიზმის კომუნიკაციური საფუძველი

ტერორიზმის ძალიან მნიშვნელოვანი თვისება მისი კომუნიკაციური საფუძველია. ტერორიზის დანიშნულება არსებულ სისტემაში ამა თუ იმ ცვლილების შეტანაა, რისთვისაც ისინი ძალადობრივ ფორმებს იყენებენ. თუმცა მიზნის მისაღწევად მხოლოდ ძალადობრივი აქტები საკმარისი არ არის და საჭიროა მოთხოვნების პოლიტიკური კომუნიკაციის სიტემაში არტიკულირება.

ცნობილი მკვლევრის, ჰოფმანის თქმით, „ტერორისტული აქტის დანიშნულება, გარკვეული მესიჯის გადმოცემაა. როგორც ის აღნიშნავს, სწორედ ეს მახასიათებელი ხდის ტერორიზმს კომუნიკაციის ერთგვარ ფორმად (Hoffman 2003).

ტერორიზმის, როგორც კომუნიკაციის ერთ-ერთი სახეობის გავლენიანი მკვლევრები, შმიდი და გრაფი წერენ, რომ „კომუნიკაციის გარეშე ტერორიზმი ვერ იარსებებს (Hoffman 2006).

ამასთან, ტერორიზმი ძალიან მჭიდროდ არის დაკავშირებული პოლიტიკურ საქმიანობასთან. შესაბამისად, ცნობილი მეცნიერის, კრელინსტენის მსგავსად შეგვიძია ვთქვათ, რომ „ტერორიზმი პოლიტიკური კომუნიკაციის ფორმაა“ (Crelinsten 1987).

ტერორისტები გარკვეული მიზნების მიღწევას ცდილობენ, რისთვისაც მათ თავიანთი ძალაუფლების დემონსტრირება სჭირდებათ. ძალაუფების დემონსტრირება კი კომუნიკაციის გარეშე შეუძლებელია. როგორც კრელისნტენი (Crelinsten 1987) აღნიშნავს, „თუ აქტორს არ აქვს აუცილებელი, საკამრისი წვდომა კომუნიკაციის არხებთან, მას შეუძლია შექმნას ახალი არხები და ინსტიტუციები“.

საბოლოო ჯამში, ტერორისტები სწორედ კომუნიკაციის ალტერნატიული გზების ძებნით არიან დაკავებულები, რადგან ხელისუფლება მუდმივად ცდილობს შეუზღუდოს ტერორიტებს მასობრივი კომუნიკაციის საშუალებებთან წვდომა.

საბოლოო ჯამში კი შემდეგი პრობლემა წარმოიქმნება: ტერორისტებს მასობრივი კომუნიკაციის შაშუალებებთან წვდომის მოპოვება შეუძლიათ იმ დოზით, რა დოზითაც ამის საშუალებას მასკომუნიკაციის სტრუქტურული მახასიათებლები მისცემს. შესაბამისად, კრელინსტენი (Crelinsten 1987) ასკვნის, რომ „ტერორისტები ავითარებენ საკუთარ ხედვას, ქმნიან ინფორმაციის მიღების პარალელურ არხებს, რომლებიც წინააღმდეგობაში შედიან მმართველი ხელისუფლების ოფიციალურ პოზიციებთან“.

კრელინსტენის (Crelinsten 1987) მოსაზრებით, მასობრივი კომუნიკაციის საშუალებები კომუნიკაციის მთავარი წყაროებია, ამიტომ ისინი ვინც კომუნიკაციის სტრუქტურის მიღმა რჩებიან, მასმედიის ყურადღების მიპყრობას წარმოუდგენელი ძალადობრივი აქტების განხორციელებით ცდილობენ.

გერმანელი ტერორისტი მაიკლ ბაუმანი წიგნში „როგორ დაიწყო ყველაფერი“ წერდა,“ჩვენ ძალიან დაინტერესებულები ვიყავით პრესით, ჩვენ მყისიერად ვაკვირდებოდით, განსაკუთრებით ბერლინში, გაზეთები როგორ რეაგირებდნენ ჩვენ მოქმედებებზე და როგორ ხსნიდნენ მათ. ამის შესაბამისად ჩვენ ვადგენდით გარკვეულ სტრატეგიას (Gerrits, 1992).

კოენ-ალმაგორი წერს, რომ დემოკრატიამ მოქალაქეებს უნდა შეუქმნას ფართო შესაძლებლობები გამოხატონ თავიანთი კმაყოფილება და უკმაყოფილება სოციალური პოლიტიკის მიმართ. პოლიტიკურ ჯგუფებსა და ასოციაციებს სწავლის ლეგიტიმური შესაძლებლობები აქვთ თავიანთი მიზნების მისაღწევად. ტერორიზმი აღიქმება როგორც არაადამიანური, ადამიანის სიცოცხლი მიმართ უგრძნობი, სასტიკი და თვითნებური ქმედება. ტერორიზმის მიმართ მორალურად ნეიტრალურ და ობიექტურ პოზიციაზე დარჩენა და ტერორისტული აქტების თანაგრძნობა - ეთიკისა და ზნეობის ღალატს ნიშნავს (Cohen-Almagor, 2005).

რიზის მოსაზრებით, ტერორისტები ერთმნიშვნელოვნად უნდა იყვნენ დაგმობილნი საკუთარი ქმედებების გამო, საზოგადოების თითოული წევის მხრიდან, რომლებისთვისაც დემოკრატიის მთავარი ფასეულობები - არ მიაყენონ ზიანი სხვას და პატივი სცენ სხვის უფლებებს ღირებულია. ტერორისტული აქტები ეწინააღმდეგება ამ ფუნდამენტურ ღირებულებებს. ტერორისტული აქტები უნდა გაშუქდეს მასობრივი კომუნიკაციის საშუალებების მიერ, მაგრამ როდესაც ჟურნაისტები აშუქებენ ასეთ ფაქტებს, მათ საკუთარი თავი არ უნდა განიხილონ როგორც დამკვირვებლებად, მათ არა მხოლოდ სიმართლე უნდა გადმოსცენ მიმდინარე მოვლენების შესახებ, არამედ თავისუფლად უნდა გააკეთონ მორალური განსჯაც (Reese, 1990).

ვალტერ ლაკერი განმარტავს, რომ თუ ტერორიზმი პროპაგანდაა, ტერორისტული კამპანიის წარმატება კრიტიკულად არის დამოკიდებული იმაზე, თუ რამდენად

ფართოდ არის ის ცნობილი. თავისთავად, ტერორისტული აქტი არაფერია - მისი საჯაროობა კი ყველაფერი (Lucker 1987).

დოულინგის მტკიცებით, ტერორისტების არსებობა ლიბერალურ საზოგადოებაში მსაობრივი კომუნიკაციის საშუალებების წყალობაა. მისი აზრით, მასმედია ხელს უწყობს ტერორისტებს მოაწყონ საშინელი დაძაბულობა, დრამა, აგონია და ზეწოლა რომელშიც ტერორისტები და მათი მსხვერპლები მთავარი მოქმდი პესონაჟები არიან. (Dowling,1986). მისი განმარტებით, ხშირად მედია არა მხოლოდ აშუქებს ტერორისტულ აქტებს, არამედ ხდება მისი ნაწილი და ისედაც მძაფრ ფაქტებს კიდევ უფრო დრამატულს ხდის.

როგორც დოულინგი აღნიშნავს, თანამედროვე ტერორისტები ცდილობენ წვდომა მიიღონ მასობრივი კომუნიკაციის საშუალებებთან, ისეთი ქმედებებით, რომლებიც სრულად აკმაყოფილებს ახალი ამბების მოთხოვნებს. ისინი ცდილობენ იყვნენ დროულები, უნიკალურები და სჩადიან ისეთ ქმედებებს, რომლებიც თავის თავში მოიაზრებს თავგადასავალს, ან გასართობ ელემენტებს, რომლებიც ინფორმაციის მიმღებების ცხოვრებაზე ახდენს ზეგავლენას (Dowling, 1986).

გერბნერი და გროსი ამტკიცებდნენ, რომ მედიის წარმომადგენლობა იძლევა იდეას, მიზეზს, საზოგადოებრივი იდენტურობის განცდას, მნიშვნელობასა და შესაბამისობას. ვერანაირი მოძრაობა ვერ გაგრძელდება გარკვეული ხილვადობის გარეშე. ეს განსაკუთრებით ეხება სუსტ მოძრაობას. ასეთ დროს მედიასთან წვდომა შეიძლება იყოს მისი მთავარი და ზოგჯერ ერთადერთი მნიშვნელოვანი აქტივი, (Gerbner, Gross,1979).

4. ძირითადი ნაწილი

საქართველო თავისი გეოგრაფიული მდებარეობიდან და სიდიდიდან გამომდინარე, საბედნიეროდ, დიდი ტერორისტული ორგანიზაციებისთვის, როგორიც არის „ალქაიდა“ ან „ისლამური სახელმწიფო“ ნაკლებად მიმზიდველი ქვეყანაა, თუმცა ძალიან მიმზიდველია მტრულად განწყობილი მეზობლისთვის, რომლის სახელსაც დამოუკიდებელი საქართველოს უახლოეს ისტორიაში არაერთი თავდასხმა უკავშირდება, მათ შორის პოლიციელებზე და მაღალი რანგის პოლიტიკურ ფიგურებზე. ბუნებრივია, როდესაც საქართველოში განხორციელებულ ტერორისტულ აქტებზე, ან ტერორისტული აქტის მცდელობაზე ვსაუბრობთ, განვიხილავთ თითოეულ შემთხვევას, განურჩევლად მოტივისა, დამკვეთისა თუ შემსრულებლისა.

ამ შემთხვევაში, კვლევის ფარგლებში ავირჩიეთ საქართველოს უახლოეს წარსულში ჩადენილი ტერორისტული აქტები, რომლებსაც ყველაზე დიდი გამოხმაურება მოჰყვა, როგორც მედიაში, ასევე საზოგადოებაში. საკვლევი პერიოდი მოიცავს 1995 წლიდან 2020 წლამდე პერიოდს და ამ დროის მანძილზე ჩადენილი ტერორისტული აქტებიდან ავირჩიეთ, როგორც უკვე აღვნიშნეთ 6 ყველაზე გახმაურებული და რეზონანსული შემთხვევა.

5 ყველაზე რეზონანსული ტერორისტული აქტი საქართველოში 1995 – 2020 წწ

- **პირველი ტერორისტული აქტი, სახელმწიფო მეთაურზე ედუარდ შევარდნაძეზე - 1995 წელი, 29 აგვისტო**
- **მეორე ტერორისტული აქტი ედუარდ შევარდნაძეზე - 1998 წელი, 9 თებერვალი**
- **ტერაქტი გორის სამხარეო პოლიციის შენობასთან - 2005 წელი, 1 თებერვალი**
- **ტერაქტის მცდელობა აშშ-ის პრეზიდენტ ჯორჯ ბუშზე - 2005 წელი, 10 მაისი**
- **ანტიტერორისტული სპეცოპერაცია ბერი გაბრიელ სალოსის ქუჩაზე - 2017 წელი, 22 ნოემბერი**
- **თავდასხმა „საქართველოს ბანკის“ ფილიალზე ზუგდიდში- 2020 წელი, 21 ოქტომბერი**

4.1. აღწერა

პირველი ტერორისტული აქტი სახელმწიფო მეთაურზე, ედუარდ შევარდნაძეზე - 1995 წელი, 29 აგვისტო

1995 წლის 29 აგვისტოს, კონსტიტუციის მიღების აღნიშვნის დღეს, „იმელის“ შენობის მიმდებარე ტერიტორიაზე ძლიერი აფეთქება მოხდა. ედუარდ შევარდნაძის წინააღმდეგ ტერორისტული აქტი განხორციელდა, შევარდნაძე აფეთქებას გადაურჩა. თავდასხმაში ეჭვმიტანილი უშიშროების ყოფილი მინისტრი, იგორ გიორგაძე იყო.

როგორც „რადიო თავისუფლების“ ჟურნალისტი ეკა წამალაშვილი (2003) წერს, აფეთქებაზე „მხედრიონის“ ლიდერები, უშიშროების სამინისტროს ყოფილი მაღალჩინოსანი, თემურ ხაჩიშვილი და იგორ გიორგაძის მიერ ჩამოყალიბებული რაზმის წევრები გაასამართლეს და პასუხიც აგებინეს, თუმცა - ნაწილობრივ. ტერაქტის ორგანიზების ფაქტზე გასამართლებული პირები შეიწყალეს. ისინი თავს დამნაშავედ არ ცნობდნენ.[5]

ადგილი: საქართველო - თბილისი.

მეორე ტერორისტული აქტი ედუარდ შევარდნაძეზე - 1998 წელი, 9 თებერვალი

1998 წლის 9 თებერვალს, როდესაც საქართველოს პრეზიდენტის ედუარდ შევარდნაძის კორტეჟი კრწანისის რეზიდენციაში ბრუნდებოდა, ტერაქტი მოუწყვეს. პრეზიდენტის კორტეჟის მიმართულებით ჩასაფრებულმა პირებმა ყუმბარმტყორცნებიდან რამდენჯერმე გაისროლეს. ორმხრივი სროლის დროს, პრეზიდენტის კორტეჟის 2 წევრი დაიღუპა და 2 მძიმედ დაიჭრა. ამასთან, ერთი თავდამსხმელის განეიტრალებაც მოხდა. პრეზიდენტი არ დაშავებულა, ის ბრონირებულმა მანქანამ დაიცვა.

დაღუპულ ჟურნალისტი გიორგი დვალი წერს, თავდამსხმელს, თან რუსული პირადობის მოწმობა აღმოაჩნდა ის წარმოშობით დაღესტნელი ჩეჩენი იყო. გამოძიების მიხედვით თავდასხმაში დაახლოებით 20-მდე დივერსანტი მონაწილეობდა, თუმცა მათი დაკავება ვერ მოხერხდა.[6]

---

[5] წამალაშვილი 2003 https://www.radiotavisupleba.ge/a/1530515.html ბოლო ნახვა, 2021 წლის მარტი.
[6] დვალი 1998 https://www.kommersant.ru/doc/192248 ბოლო ნახვა, 2021 წლის მარტი.

მსხვერპლი: 3 ადამიანი

დაჭრილი: 2 ადამიანი

ადგილი: საქართველო - თბილისი

ტერაქტის მცდელობა აშშ-ის პრეზიდენტ ჯორჯ ბუშზე - 2005 წელი, 10 მაისი

2005 წლის 9-10 მაისს, საქართველოში პირველად, აშშ-ის პრეზიდენტი ჯორჯ ბუში ოფიციალური ვიზიტით იმყოფებოდა. 10 მაისს მის წინააღმდეგ ტერაქტის მცდელობას ჰქონდა ადგილი, შემთხვევის შედეგად ჯორჯ ბუში არ დაშავებულა.

20 ივლისს ბრალდებულის დაკავების სპეცოპერაცია განხორციელდა. ორმხრივი სროლის დროს, შსს-ს ანტიტერორისტული განყოფილების უფროსი დაიღუპა. სასამართლომ ვლადიმერ არუთინოვი, ჯორჯ ბუშის წინააღმდეგ ტერაქტის მოწყობისთვის დამნაშავედ სცნო და სამუდამო პატიმრობა მიუსაჯა.[7]

მსხვერპლი: 1 ადამიანი

დაკავებული: 1 ადამიანი

ადგილი: საქართველო - თბილისი

ტერაქტი გორის სამხარეო პოლიციის შენობასთან - 2005 წელი, 1 თებერვალი

ფაქტის აღწერა: გორის სამხარეო პოლიციის შენობასთან, 2005 წლის 1 თებერვალს აფეთქება მოხდა, რომელსაც ოფიციალური ინფორმაციით 3 ადამიანი ემსხვერპლა, 10-ზე მეტი კი დაიჭრა. აფეთქებას ოფიციალურად ტერაქტის კვალიფიკაცია მიენიჭა.[8]

მსხვერპლი: 3 ადამიანი

ადგილი: საქართველო, შიდა ქართლი - გორი

ანტიტერორისტული სპეცოპერაცია ბერი გაბრიელ სალოსის ქუჩაზე - 2017 წელი, 22 ნოემბერი

ბერი გაბრიელ სალოსის ქუჩაზე ანტიტერორისტული სპეცოპერაცია 2017 წლის 21 ნოემბერს გვიან ღამით დაიწყო და 22 ნოემბერს საღამოს დასრულდა. სპეცოპერაციის შედეგად, დანაშაულებრივი დაჯგუფების 3 წევრი იყო ლიკვიდირებული, 1 კი დააკავეს.

[7] https://netgazeti.ge/news/19840/ ბოლო ნახვა, 2021 წლის მარტი.

[8] წამალაშვილი, 2005 https://www.radiotavisupleba.ge/a/1539546.html ბოლო ნახვა, 2021 წლის მარტი.

სპეცოპერაციის ფარგლებში დაიღუპა 1 სპეცრაზმელი, 2 კი დაიჭრა. ასევე, დაიჭრნენ შსს-ს განსაკუთრებულ საქმეთა დეპარტამენტის 2 თანამშრომელი.[9]

მსხვერპლი: 4

დაჭრილი: 4

დაკავებულია: 1

ადგილი: საქართველო, თბილისი

თავდასხმა „საქართველოს ბანკის" ფილიალზე - 2020 წელი, 21 ოქტომბერი

2020 წლის 21 ოქტომბერს ქალაქ ზუგდიდში, „საქართველოს ბანკის" ფილიალში შეიარაღებული პირი შეიჭრა და 43 მძევალი აიყვანა. თავდამსხმელმა ბანკი გვიან ღამით, 3 მძევალთან და ფულთან ერთად დატოვა და მიიმალა. შემთხვევის შედეგად არცერთი მძევალი არ დაშავებულა.

შსს აღნიშნულ საქმეს ტერორიზმის მუხლით იძიებს. საქმეზე ბრალდებული ბადრი ესებუას ადგილსამყოფლის დასადგენად, საგამოძიებო მოქმედებები დღემდე მიმდინარეობს.[10]

ადგილი: საქართველო, სამეგრელო - ზემო სვანეთი - ზუგდიდი

ტერორისტული აქტები საზოგადოების მაღალი ინტერესით სარგებლობს და ძალიან სენსიტიურ საკითხს წარმოადგენს. შესაბამისად, საყურადღებოა ასეთი საკითხების მედიაში გაშუქების სპეციფიკა, თუ როგორ ხდება ამბის გადმოცემა და ტერმინთა გამოყენება.

ტერორიზმთან დაკავშირებული თემის გაშუქებაზე მედია ქარტიამ 2016 წელს გავლენიანი უცხოური მედია საშუალებების სტანდარტებზე დაყრდნობით, სახელმძღვანელო წესები გამოსცა, სადაც დეტალურად არის აღწერილი თუ როგორ უნდა მოხდეს მედია საშუალებისა და კონკრეტული ჟურნალისტის მიერ აღნიშნული საკითხის გაშუქება. შესაბამისად, ჩვენ სწორედ ამ სახელმძღვანელო წესებს დავეყრდნობით, ზემოთ ჩამოთვლილი ტერორისტული აქტების ქართულ სამაუწყებლო მედიაში გაშუქების ემპირიული კვლევის დროს.

---

[9] თარხნიშვილი, 2017 https://www.radiotavisupleba.ge/a/antiteroristuli-operatsia-tbilisshi/28869176.html ბოლო ნახვა, 2021 წლის მარტი.

[10] https://report.ge/crime/sakartvelodinareobs/ ბოლო ნახვა 2021 წლის მარტი.

ზემოთ ჩამოთვლილი შემთხვევებიდან, თითოეული მათგანის დეტალური განხილვა ამ დროისათვის შეუძლებელია, რადგან ჩადენილი აქტებიდან დიდი დროა გასული და არ მოიპოვება ემპირიული მასალა, რომელზე დაყრდნობითაც შესაძლებელი გახდება საკითხის დეტალური განხილვა იმ ჭრილში, რომელიც ჩვენთვის კვლევის ფარგლებშია საინტერესო. შესაბამისად, ჩვენ განვიხილავთ და ვიკვლევთ ორ შემთხვევას, რომლებზეც ინფორმაციის მოპოვება სოციალურ ქსელებში და ტელევიზიების ოფიციალურ ვებ-გვერდებზეა შესაძლებელი. ესენია: ბერი გაბრიელ სალოსის ქუჩაზე ჩატარებული ანტიტერორისტული სპეცოპერაცია და ზუგდიდში, „საქართველოს ბანკის“ ფილიალზე განხორციელებული თავდასხმა.

2017 წლის 21-22 ნოემბერს, ბერი გავრიელ სალოსის ქუჩაზე მიმდინარე ატნიტერორისტული სპეცოპერაციის გაშუქების საკვლევად, ჩვენ ავირჩიეთ სამი ტელევიზია.

- „რუსთავი2“,
- „იმედი“
- „საზოგადოებრივი მაუწყებელი“

„რუსთავი2“, და „იმედი“ არჩეულ იქნა, როგორც ყველაზე რეიტინგული სამაუწყებლო მედია საშუალებები მოცემულ პერიოდში, ხოლო „საზოგადოებირი მაუწყებელი“, როგორც ერთადერთი არაკომერციული სამაუწყებლო მედია საქართველოში.

სპეცოპერაციის აქტიური გაშუქება 22 ნოემბერს დაიწყო და მთავარ ამბადაც იქცა. შესაბამისად, ყველა მედია საშუალება შემთხვევის ადგილიდან პირდაპირ ეთერში ერთვებოდა და სპეც ეთერები ჰქონდათ.

საზოგადოებას აქვს უფლება მიიღოს ინფორმაცია ტერორიზმთან და მოსალოდნელ საფრთხეებთან დაკავშირებით, თუმცა მედიას პასუხისმგებლობა აკისრია უნებურად არ გახდეს ხელშემწყობი ტერორისტული შინაარსის მიმართვების თუ მოწოდებების ტირაჟირებისა. ტერორისტული აქტები თუ მასთან დაკავშირებული სხვა ამბები უნდა

გაშუქდეს ზუსტად, სრულად, შესაბამისი ტერმინოლოგიის გამოყენებით და დიდი პასუხისმგებლობით.[11]

ჟურნალისტთან ეთიკის ქარტიის რეკომენდაციის თანახმად, მედიას ტერორიზმთან და მოსალოდნელ საფრთხეებთან დაკავშირებით, ამბის გაშუქების ვალდებულება აქვს. თუმცა მას ასევე აქვს მოვალეობები და დიდი პასუხისმგებლობაც აკისრია საზოგადოების წინაშე. ჩვენი კვლევის საგანს, ამბის გაშუქებისას მედიის მიერ მოვალეობების შესრულების ხარისხი წარმოადგენს. თუ რამდენად იცავენ ქართველი ჟურნალისტები ტერორიზმთან დაკავშირებული საკითხები გაშუქებისას, საერთაშორისო სტანდარტებზე დაფუძნებულ რეკომენდაციებს, ეთიკურ ნორმებსა და კანონს.

4.2. ანტიტერორისტული სპეცოპერაცია ბერი გაბრიელ სალოსის ქუჩაზე - თბილისი

ტელეკომპანია „იმედი“

ტელეკომპანია „იმედს“, 22 ნოემბერს ანტიტერორისტული სპეცოპერაციის დროს, სპეციალური ეთერი ჰქონდა და პირდაპირ ეთერში მაუწყებლობდა. სამწუხაროდ სპეციალური ეთერის მთლიანი ჩანაწერი, კომპანიის ოფიციალურ Facebook და youtube გვერდებზე არ იძებნება. ხელმისაწვდომია მხოლოდ პირდაპირი ეთერების მოჭრილი ვიდეო ჩანაწერები, თუმცა სრული სურათის შეკვრა მაინც შესაძლებელია და ამ ეთერების მიხედვით შეგვიძლია განვიხილოთ, ტელეკომპანია „იმედის“ საინფორმაციო გამოშვება „ქრონიკისა“ და მისი ჟურნალისტების მუშაობის სპეციფიკა.

დასაწყისიდანვე შემთხვევის ადგილზე ტელეკომპანია „იმედის“ ჟურნალისტი, ლევან ჩუგოშვილი იმყოფებოდა, რომელიც პირდაპირ ეთერში ერთვებოდა და მიმდინარე მოვლენების დეტალებს, მაყურებელს აცნობდა. აღსანიშნავია, რომ ის და სხვა მედია საშუალებების ჟურნალისტები პოლიციის მიერ შემოსაზღვრული ტერიტორიის მიჯნაზე იმყოფებოდნენ და საკმაოდ დიდი მანძილი აშორებდათ უშუალოდ სპეცოპერაციის ადგილს, თუმცა ყვითელი ლენტით შემოსაზღვრულ ტერიტორიაზე ისე

[11] საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქარტია, 2016. გ.ვ.13, http://qartia.ge/media/1000907/2017/07/31/86278ccf2a44c8b77de1ad9937657456.pdf ბოლო ნახვა 2021 წლის აპრილი.

ვერავინ ვერ შევიდოდა და ვერ გამოვიდოდა, რომ მედიის ობიექტივში არ მოხვედრილიყო.

ასევე საყურადღებოა, რომ „იმედს“ შემთხვევის ადგილზე, ძირითადი გადამღები ჯგუფის გარდა, მობილიზებული ჰყავდა რამდენიმე დამხმარე ჯგუფი, რომლებიც უშუალოდ სპეცოპერაციის მიმდინარეობის კადრების მოპოვებაზე იყვნენ ორიენტირებულები. ისინი მოპირდაპირე კორპუსების აივნებიდან თუ ფანჯრებიდან იღებდნენ, სპეცრაზმელების განლაგებას და იმ ბინის ფანჯრებს, სადაც გამაგრებულები იყვნენ შეიარაღებული ბრალდებულები.

ტერორისტული აქტი (სუიციდი) არ აღწეროთ დეტალებში, რათა არ შეიძინოს ერთგვარი ინსტრუქციის სახე. დეტალურად არ გააშუქოთ ანტიტერორისტული ან თავდაცვითი ქმედებები, რამაც შესაძლოა რადიკალური დაჯგუფებების ქმედებების შეცვლა და ოპერაციის ჩავარდნა გამოიწვიოს.[12]

მედია ქარტიის მიერ შემუშავებულ სახელმძღვანელო წესებში დეტალურად არის განმარტებული, რომ მედიამ ტერორიზმთან დაკავშირებული საკითხები დეტალებში არ უნდა აღწეროს, რაც ტელეკომპანია „იმედმა“ და მისმა ჟურნალისტებმა არ გაითვალისწინეს, რადგან ჟურნალისტმა, ლევან ჩუგოშვილმა პირდაპირ ეთერში აჩვენა, თუ როგორ შედიოდა ტერიტორიაზე სამხედრო ტექნიკა. ასევე ხაზი გაუსვა, რომ ტერიტორიაზე შედიოდა 1 ერთეული სამხედრო ტექნიკა და კადრები, რომლებსაც მაყურებელი უყურებდა პირდაპირ ეთერში გადაიცემოდა. ტექნიკის შესვლით, მან ივარაუდა, რომ ტერიტორიაზე სიტუაცია კიდევ უფრო მძიმდებოდა. ასევე აღსანიშნავია, რომ ჟურნალისტმა ტერიტორიაზე შესული სამხედრო ტექნიკის დასახელება არ იცოდა, რასაც თავადვე გაუსვა ხაზი. სავარაუდოდ, ამ სახელწოდების ცოდნის შემთხვევაში ამასაც პირდაპირ ეთერში იტყოდა. თუმცა, შემდეგ პირდაპირ ჩართვებში, მან აჩვენა რამდენიმე ერთეული სამხედრო ტექნიკის ტერიტორიაზე შესვლა, ამ დროს უკვე ამ ტექნიკის დასახელებაც *(კობრას ტიპის ჯავშან მანქანა)* მოახსენა მაყურებელს. გარდა სპეციალური ტექნიკისა, „იმედმა“ აჩვენა კადრები, რომლებიც ჩართვამდე ცოტა ხნით ადრე იყო გადაღებული, სადაც მობილიზებული სპეცრაზმელების რაოდენობის

[12] საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქარტია, 2016. გ.ვ.14, http://qartia.ge/media/1000907/2017/07/31/86278ccf2a44c8b77de1ad9937657456.pdf ბოლო ნახვა 2021 წლის აპრილი.

დათვლა იყო შესაძლებელი. ასევე, ჩართვების დროს ეკრანზე უჩვენებდნენ სპეცდანიშნულების რაზმის წევრებს, რომლებიც ტერიტორიაზე საკუთარ პოზიციებზე იყვნენ განლაგებული.

16:15 საათზე „იმედის“ ეთერში წამყვანმა უშუალოდ სპეცოპერაციის მიმდინარეობის კადრები აჩვენა, სადაც სროლის ხმა ისმის და ჩანს მოპირდაპირე კორპუსის სადარბაზოში და ეზოში განლაგებული სპეცრაზმელების პოზიციები, რომლებიც ჟურნალისტებს მოუწოდებენ, რომ არ გადაიღონ. მან ასევე ხაზგასმით აღნიშნა, რომ მასალა ცოტა ხნის წინ იყო გადაღებული და ეს არ იყო პირდაპირი ეთერის კადრები, რაც მისასალმებელია. თუმცა ამ კადრების პარალელურად მან პირდაპირ ეთერში თქვა, რომ ტერიტორიაზე შეყვანილია 4 ერთეული კობრას ტიპის ჯავშანტექნიკა და მობილიზებულები არიან სხვადასხვა დანაყოფების წარმომადგენლები.

კადრები უნდა გადაიცეს რედაქტირებული სახით, რათა თავიდან იქნეს აცილებული მის მიერ საზოგადოებრივი აზრით მანიპულირება.[13]

გარდა ინფორმაციის პირდაპირ ეთერში გადმოცემისა, „იმედმა“ არ გაითვალისწინა ქარტიის მიერ ვიზუალიზაციის კუთხით გაწერილი წესები. მან მთელი სპეცოპერაციის მიმდინარეობის პროცესში ინფორმაციის ძალიან დიდი ნაწილი პირდაპირ ეთერში, ყოველგვარი რედაქტირების გარეშე აჩვენა. მათ შორის, დაჯგუფების მოკლული წევრის ცხედრის კადრები, რომლის ირგვლივ სპეცრაზმელები იყვნენ მობილიზებული. ის გარდაცვლილის ჩაცმულობიდან გამომდინარე ვარაუდობს, რომ ეს შეიძლება იყოს რიგითი მოქალაქე, ან დაჯგუფების წევრი, თუმცა აქვე ხაზს უსვამს, რომ მას ზუსტი ინფორმაცია ამის შესახებ არ აქვს.

BBC - ის რეკომენდაციით, მედია საშუალებამ ტერორიზმთან დაკავშირებული ამბები სწრაფად და ოპერატიულად უნდა გააშუქოს, თუმცა ჟურნალისტმა თავი უნდა შეიკავოს შეფასებისგან. ასევე ჟურნალისტმა უნდა იზრუნოს, რომ მის მიერ მიწოდებულმა ინფორმაციამ მოსახლეობას საფრთხე არ შეუქმნას ან უსარგებლო ტანჯვა არ მიაყენოს ადამიანებს.[14]

---

[13] საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქარტია, 2016. გ.ვ.15, http://qartia.ge/media/1000907/2017/07/31/86278ccf2a44c8b77de1ad9937657456.pdf ბოლო ნახვა 2021 წლის აპრილი.

[14] BBC https://www.bbc.co.uk/editorialguidelines/guidelines/war-terror-emergencies ბოლო ნახვა 2021 წლის აპრილი.

სპეცოპერაციის დასრულების შემდეგ, ვიდრე შესაბამისი უწყებები ოფიციალურ განცხადებას გაავრცელებდნენ, „იმედის“ ეთერში შემთხვევის ადგილიდან კიდევ ერთხელ ჩაერთო ჟურნალისტი პირდაპირ ეთერში და შეაჯამა ბერი გაბრიელ სალოსის ქუჩაზე მიმდინარე ანტიტერორისტული სპეცოპერაცია. მიუხედავად იმისა, რომ საზოგადოებისთვის ისედაც ცნობილი იყო სპეცოპერაციის სირთულე მისი ხანგრძლივობიდან გამომდინარე, ის ჩართვის დროს ჰყვებოდა დაუდასტურებელ ინფორმაციას გარდაცვლილების შესახებ და ხშირად იყენებდა სიტყვებს: „მასშტაბური სპეცოპერაცია“, „საგანგებო რეჟიმი“ „უპრეცენდენტო რაოდენობის სპეცრაზმელები“, „ტერიტორია კიდევ არ არის უსაფრთხო“, უსაფრთხოების უპრეცენდენტო ზომები“, რითაც ისედაც მძიმე სურათს კიდევ უფრო ამძიმებდა.

ტერორისტული აქტების გაშუქებისას, მნიშვნელოვანია ისეთი ჟურნალისტური ენის გამოქვეყნება, რომელიც თავისუფალია შეფასებებისგან. უმჯობესია, ფაქტები აღიწეროს მშრალად. მედიამ არ გამოიყენოს ზედმეტად ემოციური სიტყვები და შეფასებები. მნიშვნელოვანია ტერმინი „ტერორისტი“ გამოიყენოს სათანადოდ და არ გახდეს იარლიყი, რამაც შესაძლოა დაუზარალოს მედია საშუალების რეპუტაცია.[15]

ტელეკომპანია „საზოგადოებრივი მაუწყებელი“

ბერი გაბრიელ სალოსის ქუჩიდან „საზოგადოებრივ მაუწყებელს“ მთელი დღის განმავლობაში სპეციალური ეთერი ჰქონდა და ჟურნალისტები სხვადასხვა ლოკაციებიდან ერთვებოდნენ პირდაპირ ეთერში. შემთხვევის ადგილიდან პირველი ჩართვა ჟურნალისტ, ნოდარ ჩაჩუას ჰქონდა, რომელმაც ადგილობრივების მიერ მოწოდებული ინფორმაცია გააცნო მაყურებელს და აჩვენა, თუ როგორ გამოჰყავდათ საპატრულო პოლიციის თანამშრომლებს მშვიდობიანი მოქალაქეები შემთხვევის ეპიცენტრიდან და თქვა, რომ ტერიტორიაზე სასწრაფო და სახანძრო-სამაშველო ბრიგადები შევიდნენ. შემთხვევის ადგილის სხვა ლოკაციიდან ჩაერთო ჟურნალისტი გიორგი კობერიძე, რომელმაც ასევე ადგილობრივების მიერ მოწოდებული ინფორმაცია აცნობა მაყურებელს და ადგილობრივების კომენტარებიც გავიდა ეთერში. საყურადღებოა ერთ-ერთი ადგილობრივის კომენტარი, რომელმაც დაჯგუფების

[15] საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქარტია, 2016. გ.3 14, http://qartia.ge/media/1000907/2017/07/31/86278ccf2a44c8b77de1ad9937657456.pdf ბოლო ნახვა 2021 წლის აპრილი.

წევრების ეთნიკურ წარმომავლობაზე გაამახვილა ყურადღება და თქვა, რომ ბინაში ჩეჩენი ეროვნების ოჯახი ცხოვრობდა, რომლებიც პანკისიდან იყვნენ. ეს არ იყო პირდაპირი ეთერი, ეს იყო წინასწარ ჩაწერილი რესპოდენტი და ჟურნალისტმა ეს კომენტარი ეთერში გაუშვა.

უარყოფითი ქმედებების დაკავშირება მასში მონაწილე პირების წარმომავლობასთან ან რელიგიურ მრწამსთან არარელევანტურია. ამგვარი ინფორმაცია მხოლოდ ნეგატიურ სტერეოტიპებს აღვივებს და ხელს უწყობს სტიგმატიზაციას. ნაცვლად ამისა, აჩვენეთ მთლიანი სურათი ხაზი გაუსვით იმას, რომ რელიგიურ ან ეთნიკურ ღირებულებებს კავშირი არ აქვს ტერორიზმთან. წარმოაჩინეთ ექსპერტთა და ანალიტიკოსთა შეფასებები, სტატისტიკა ან სხვა რელევანტური ინფორმაცია, რომელიც პრობლემას მთლიანობაში წარმოაჩენს.[16]

ასევე ამ ჟურნალისტმა პირდაპირ ეთერში აჩვენა თუ როგორ შევიდა სპეციალური ჯავშანმანქანა ტერიტორიაზე და ოპერატორს სთხოვა ახლო კადრით ეჩვენებინა ის მაყურებლისთვის. ამის შემდეგ მსგავს ფაქტი არ განმეორებულა და პირდაპირ ეთერში ტექნიკის გადაადგილება არ უჩვენებიათ, ეთერში გასული შემდეგი მსგავს კადრები, ჩანაწერები იყო.

ამასთან „საზოგადოებრივმა მაუწყებლმა“ პირდაპირ ეთეში აჩვენა თუ როგორ მიდიან საპატრულო პოლიციის თანამშრომლები შემთხვევის ეპიცენტრისკენ. კადრებში შესაძლებელია სამართალდამცველების რაოდენობის დათვლა. ამის შემდეგ მსგავსი ფაქტი არ განმეორებულა და სპეცრაზმელების გადაადგილება ჩანაწერების სახით მოგვაწოდეს.

აღსანიშნავია, რომ „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ ჟურნალისტები ყურადღებას ამახვილებდნენ იმ ფაქტზე, რომ საცხოვრებელი კორპუსის ერთ-ერთ ბინაში მყოფი დაჯგუფების წევრები არ იყვნენ საქართველოს მოქალაქეები, თუმცა ჟურნალისტები კონკრეტულ ეთნიკურ წარმომავლობაზე არ საუბრობდნენ, ასევე დიდი ყურადღება დაუთმეს მოქალაქეების ევაკუაციის ფაქტებს.

---

[16] საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქარტია, 2016. გ.3 13, http://qartia.ge/media/1000907/2017/07/31/86278ccf2a44c8b77de1ad9937657456.pdf ბოლო ნახვა 2021 წლის აპრილი.

მას შემდეგ, რაც ოფიციალურმა წყარომ გაავრცელა ინფორმაცია, რომ საცხოვრებელ ბინაში მყოფი პირები, ტერორისტული დაჯგუფების წევრები იყვნენ, ჟურნალისტებმა პირდაპირ ეთერში ჩართვის დროს ამ ინფორმაციის გამოყენებაც დაიწყეს, თუმცა ამის შესახებ ისინი სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურზე დაყრდნობით ამბობდნენ. ამასთან ჟურნალისტები თავს იკავებდნენ სპეცრაზმელების ადგილსამყოფელის, ლოკაციებისა და პოზიციების პირდაპირ ეთერში გასაჯაროებისგან და ხაზს უსვამდნენ, რომ ეს სპეცოპერაციის მიმდინარეობისთვის ხელშეწყობის მიზნით ხდებოდა. ..

ტელეკომპანია „რუსთავი2“

„რუსთავი2“-ის შემთხვევაშიც, ფორმატი სხვა ტელევიზიების მსგავსია. ტელეკომპანიას მთელი დღის განმავლობაში სპეციალური ეთერი ჰქონდა. შემთხვევის ადგილზე რამდენიმე ჯგუფი იმყოფებოდა და ჟურნალისტები სხვადასხვა ლოკაციებიდან აწვდიდნენ მაყურებელს ინფორმაციას, რომელიც პრაქტიკულად ერთფეროვანი იყო და ადგილობრივების მონაყოლს ეყრდნობოდა. ჟურნალისტებმა პირდაპირ ეთერში აჩვენეს ტერიტორიაზე ჯავშანტექნიკის შესვლა, ასევე პირდაპირ ეთერში იყო ნაჩვენები კორპუსის ირგვლივ განლაგებული სპეცრაზმელების პოზიციები. ჟურნალისტმა, დავით კაკულიამ ისიც თქვა, რომ აღჭურვილობის მიხედვით ისინი ანტიტერორისტული სპეცრაზმის წევრები იყვნენ.

დეტალურად არ გააშუქოთ ანტიტერორისტული ან თავდაცვითი ქმედებები, რამაც შესაძლოა რადიკალური დაჯგუფებების ქმედებების შეცვლა და ოპერაციის ჩავარდნა გამოიწვიოს.[17]

„რუსთავი2“ -ის ჟურნალისტებმა პირდაპირ ეთერში სპეციალურად მოასმენინეს სროლისა და აფეთქების ხმები, კადრში კარგად ჩანს თუ როგორ იშვერს ჟურნალისტი მიკროფონს წინ რათა ხმა უფრო მკაფიოდ ისმოდეს, ამასთან ის ვარაუდით ამბობს თუ რომელი ცეცხლსასროლი იარაღის ხმა ისმის.

რაც შეეხება ვიზუალიზაციას, „რუსთავი2“-მა აჩვენა სპეცოპერაციის ეპიცენტრის კადრები, რომელიც გადაღებული იყო მოპირდაპირე კორპუსიდან. კადრებში კარგად ჩანდა თუ როგორ გადაადგილდებოდნენ სპეცრაზმელები, როგორ გამოდიოდა ცეცხლის

[17] საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქარტია, 2016. გ.3 14, http://qartia.ge/media/1000907/2017/07/31/86278ccf2a44c8b77de1ad9937657456.pdf ბოლო ნახვა 2021 წლის აპრილი.

ალი და კვამლი იმ ბინიდან სადაც დაჯგუფების წევრები იყვნენ, ასევე კადრებში მკაფიოდ ისმის სროლისა და აფეთქების ხმები. რუსთავი ორმა ეს კადრები ანახა, როგორც ექსკლუზივი. მსგავსი კადრები სხვა ტელევიზიებმაც აჩვენეს, თუმცა იქ არ იყო ასე დეტალურად და ახლო კადრით გადაღებული ცეცხლის ალში გახვეული ბინა და მიმდებარე ტერიტორია. მედია ქარტიის რეკომენდაციებში შავით თეთრზე წერია, რომ ტერორიზმთან დაკავშირებული ამბების გაშუქებისას საჭიროა ბალანსის დაცვა, რათა საზოგადოებაში პანიკა არ გამოიწვიოს.

ტერორიზმთან დაკავშირებული საკითხების გაშუქებისას საჭიროა ბალანსის დაცვა, რათა ერთის მხრივ არ მიენიჭოს გადაჭარბებული მნიშვნელობა მომხდარ ამბავს და არ გამოიწვიოს პანიკა საზოგადოებაში და მეორეს მხრივ, მოქალაქეებმა მიიღონ სრული ინფორმაცია მიმდინარე მოვლენების შესახებ.[18]

მნიშვნელოვანი ფაქტია, რომ ანტიტერორისტული სეცოპერაცია 21 ნოემბერს გვიან ღამით დაწყო, მედიამ კი ამბის აქტიური გაშუქება 22 ნოემბერს დილით ადრე დაიწყო. რაც იმანს ნიშნავს, რომ თითოეულ ტელეკომპანიას, სპეცოპერაციის შესახებ ინფორმაციას კორესპონდენტები შემთხვევის ადგილიდან აწვდიდნენ, თუმცა ისინი მხოლოდ იმ ინფორმაცის უყვებოდნენ მაყურებლებს რაც თვითმხილველებისა და ადგილობრივი მაცხოვრებლებისგან გაიგეს.

სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურში ოფიციალური განცხადება მხოლოდ 12:23 საათზე გაკეთდა. განცხადებაში ყურადღება იყო გამახვილებული იმ ფაქტზე, რომ პირები რომელთა დასაკავებლადაც სპეცოპერაცია მიმდინარეობდა საქართველოს მოქალაქეები არ იყვნენ და ტერორისტული დაჯგუფებაში ირიცხებოდნენ. განცხადებაში ასევე ითქვა, რომ სამართალდამცველები მათთან მშვიდობიანად ჩაბარებასთან დაკავშირებით მოლაპარაკებასაც აწარმოებდნენ, რის საპასუხოდაც მათ ცეცხლი გახსნეს და სპეცნადიშნულების ერთი წევრი დაჭრეს, რის შემდეგაც მათი დასაკავებლად სპეცოპერაცია დაიწყო. განცხადებაში ასევე მოუწოდებდნენ მოქალაქეებს თავი შეეკავებინათ ტერიტორიაზე გადაადგილებისგან და თავი შორს დაეჭირათ. ეს იყო ერთადერთი ოფიციალური განცხადება სპეცოპერაციის მიმდინარეობის პერიოდში,

[18] საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქარტია, 2016. გ.3 13, http://qartia.ge/media/1000907/2017/07/31/86278ccf2a44c8b77de1ad9937657456.pdf ბოლო ნახვა 2021 წლის აპრილი.

რომელიც სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურში გაკეთდა, თუმცა არაფერი თქმულა მედიის საყურადღებოდ. განცხადებაში არ ყოფილა ნათქვამი არც ერთი სიტყვა მედიის მიმართულებით, არც ერთი მოწოდება იმასთან დაკავშირებით, სწორ ფორმატში აშუქებდა თუ არა მედია და უშლიდა თუ არა სპეცოპერაციის მიმდინარეობას ხელს საკუთარი საქმიანობით, აგდებდა თუ არა სპეცრაზმელების, რიგითი მოქალაქეებისა და საკუთარ ჯანმრთელობას საფრთხეში.[19]

თუმცა მაუწყებელთა ქცევის კოდექსის 53-ე მუხლის მე-2 ქვეპუნქტში პირდაპირ წერია, რომ ***„მაუწყებელმა თავი უნდა შეიკავოს ისეთი ქმედებებისგან, რომელმაც შეიძლება საფრთხე შეუქმნას ადამიანის სიცოცხლეს ან ჯანმრთელობას“***.[20]

საგანგებო სიტუაციების პირობებში, როგორიც იყო ბერი გაბრიელ სალოსის ქუჩის ანტიტერორისტული სპეცოპერაცია, ჟურნალისტების მხრიდან მაღალი ეთიკური სტანდარტების გამოვლენის გარდა, ძალიან მნიშვნელოვანია ოფიციალური უწყებებისა და მედია საშუალებების კომუნიკაციის ხარისხი. რისი ნაკლებობაც 2017 წლის 21-22 ნოემბრის სპეცოპერაციის დროს თვალშისაცემია, რადგან მედია ფაქტობრივად მარტო იყო დატოვებული და აშუქებდა იმას რასაც თვითონ ხედავდა. ამას ოფიციალური განცხადების რაოდენობა და შინაარსიც ადასტურებს. აღნიშნული ხარვეზის შესახებ, „მედიის განვითარების ფონდის“ 2020 წელის იანვარ-მარტში ჩატარებულ კვლევაშიც არის აღნიშნული.

კრიზისული ვითარების, ანტიტერორისტული ოპერაციების დროს მედიისთვის ყველაზე სერიოზული პრობლემა ოფიციალური უწყებებიდან ინფორმაციის ვერმიღებაა. ჟურნალისტთა უმრავლესობა პირადი კონტაქტების და ალტერნატიული წყაროების მეშვეობით ცდილობს ინფორმაციის მოპოვებას.[21]

გამომდინარე ამ ხარვეზებიდან, საგანგებო სიტუაციებისა და ანტიტერორისტული სპეცოპერაციების დროს, მედია მუშაობს ისე, როგორც შეუძლია და აწვდის იმ ინფორმაციას, რომლის მოპოვების საშუალებასაც ხედავს ადგილზე მომუშავე

---

[19] „იმედი“ https://www.youtube.com/watch?v=am2-RI7M9g0 ბოლო ნახვა, 2021 წლის აპრილი.
[20] საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია, 2009 წ. https://matsne.gov.ge/ka/document/view/82792?publication=0 ბოლო ნახვა, 2021 წლის აპრილი.
[21] მედიის განვითარების ფონდი, 2020. გ.ვ 7, https://www.hedayahcenter.org/wp-content/uploads/2021/02/Crisis-Publication-GEO.pdf ბოლო ნახვა 2021 წლის აპრილი.

კორესპონდენტი. ასეთ დროს თითოეული ჟურნალისტი საკუთარი ეთიკური სტანდარტების შესაბამისად მუშაობს.

იმისათვის, რომ მხოლოდ ჩვენი შეფასების საფუძველზე არ გამოგვეტანა დასკვნა და კვლევა სუბიექტური ხასიათის არ ყოფილიყო, მედიის მუშაობის სპეციფიკა, მოქმედ ჟურნალისტებს შევაფასებინეთ, რომელთა დიდი ნაწილი ადგილზე იმყოფებოდა და სპეცოპერაციას აშუქებდა.

შოთა ფალავანდიშვილი - ჟურნალისტი, ტელეკომპანია „რუსთავი2“: - „ბერი გაბრიელ სალოსის ქუჩის სპეცოპერაციის გაშუქებისას, მედიის მუშაობას მეტწილად პოზიტიურად შევაფასებდი იმიტომ, რომ ძალიან რთულია ილაპარაკო რამის დარღვევა არ დარღვევაზე, მით უმეტეს, როდესაც დაახლოებით 18 საათი უწყვეტ ეთერში ხარ და ორმხრივი ორთაბრძოლა მიმდინარეობს. ორმხრივი ცეცხლის დროს, წინა ხაზზე რომ მუშაობ, შენ მაქსიმალურად ცდილობ, რომ რაც შეიძლება მეტი ინფორმაცია მოიპოვო, რომ შენი ტელევიზიის საშუალებით გაიგოს მაყურებელმა მაშინ, როდესაც მაღალი საზოგადოებრივი ინტერესი არსებობს. როდესაც მთელი დღე ომია გაჩაღებული და შენ არ გიზღუდავენ სამოქმედო არეალს, ბუნებრივია, რომ ინსტინქტიდან და პროფესიული ვალდებულებებიდან გამომდინარე იწყებ მაქსიმალურად სიღრმისეულად ამბის დაუფლებას, რომ შემდეგ ეს ინფორმაცია გახადო საჯარო. თუ ვინმეს ვამტყუნებ, არა ჟურნალისტებს, არამდე სპეცსამსახურის წარმომადგენლებს, რომლებმაც შესაძლოა რაიმე ისეთი შეცდომა დაუშვეს მედიასთან კომუნიკაციის კუთხით.

სპეცოპერაცია დაიწყო წინა ღამეს და როდესაც იცოდნენ, რომ ასეთი გართულება შეიძლება ჰქონოდა, მაშინ უნდა შემოეფარგლათ პერიმეტრი, უსაფრთხო ზონებად დაეყოთ და მომხდარიყო მოსახლეობის ევაკუაცია. ჟურნალისტი წყალივით არის, სადაც მისცემ ნაპრალს იქ შეეცდება შეძვრეს. მედიას საკრიტიკო ძალიან ბევრი გვაქვს, განსაკუთრებით სატელევიზიო მედიას, მაგრამ ამ შემთხვევაში მე უფრო ვხედავ სპეციალური სამსახურების დანაშაულს იმაში, თუ რამე გაიპარა მედიაში.

როდესაც ამხელა სპეცოპერაციას გეგმავ, მინიმუმ შუქი და საკომუნიკაციო საშუალებები უნდა გათიშო, თუ ინტერნეტი ჰქონდა იმ ხალხს და ინფორმაციას იღებდნენ მაშინ რა სპეცოპერაციაა. იქ, პირველ რიგში პრობლემური საკითხი იყო, სტრატეგიული კომუნიკაციების დეპარტამენტის მხრიდან, რომელმაც დაახლოებით 20

საათის განმავლობაში ვერ უზრუნველყო ჟურნალისტებისთვის მოეწყო სპეციალური კარავი, სადაც მედიისთვის იქნებოდა გამოყოფილი სპიკერი, მოეწყო სპეციალური ადგილები, რომლის იქითაც ჩვენ გადაადგილებას ვერ შევძლებდით და ყოველ 1 საათში განახლებული ინფორმაცია მიეწოდებინა, ვინაიდან მაღალი საზოგადოებრივი ინტერესი არსებობდა და გვქონოდა პირველწყაროსგან ინფორმაცია და ჩვენ არ გავმხდარიყავით პირველწყარო.

საბოლოო ჯამში, მე ვთვლი, რომ ბერი გაბრიელ სალოსის ქუჩაზე, მედიამ იმუშავა მეტწილად პროფესიული ეთიკის და შინაგანი მორალის დაცვით, რადგან ჩვენი მაკონტროლებელი იქ მხოლოდ შინაგანი ეთიკა იყო.

შორენა ხვიჩია - ჟურნალისტი, ტელეკომპანია "იმედი": - „შეცდომა, რომელიც დაუშვა თითქმის ყველა მედიასაშუალებამ, იყო ის რომ სპეცოპერაციის მიმდინარეობას და სამართალდამცველების გადაადგილებას პირდაპირი ეთერის რეჟიმით უჩვენებდა, რაც შესაძლოა დამნაშავეებისთვის, ალბათ, იქნებოდა მნიშვნელოვანი და საყურადღებო ინფორმაცია. თუმცა, აღსანიშნავია, რომ ამის აკრძალვის განცხადება სპეცოპერაციის დაწყებიდან რამდენიმე საათის განმავლობაში შსს სამინისტროს არ გაუკეთებია. ცალსახა მითითება - შეგვეწყვიტა, ან დაგვიანებით გაგვეშვა კადრები, რათა "ჩასაფრებულ პირებს" იმაზე მეტი ინფორმაცია არ ჰქონოდათ, ვიდრე საჭირო იყო, უბრალოდ არ ყოფილა. მას შემდეგ გამახვილდა ამ უხეშ დარღვევაზე ყურადღება, რაც არასამთავრობო სექტორმა და სოციალურმა მედიამ მიუთითა ჟურნალისტებსა და ტელეკომპანიების ხელმძღვანელებს. რა თქმა უნდა, ყველა მიხვდა რომ სტანდარტი დაირღვა და მსგავსი პირდაპირი რეჟიმით "კონკრეტული სტრატეგიების" გაშუქება აღარ მომხდარა.

მეორე რაც ასევე მნიშვნელოვანი და თვალშისაცემი შეცდომა იყო - უდანაშაულობის პრეზუმფციის დარღვევაა. ხშირად მედიასაშუალებების წარმომადგენლები ტერორისტებად მოიხსენიებდნენ ადამიანებს, რომელთა ზუსტი ვინაობაც კი არ იცოდნენ. არადა ყველამ ვიცით, რომ ადამიანი უდანაშაულოა, სანამ მას სასამართლო გამამტყუნებელ განაჩენს არ გამოუტანს“.[22]

[22] მამისეიშვილი, 2019. გ.ვ 32, https://openscience.ge/bitstream/1/1204/1/samagistro%20mamiseishvili.pdf?fbclid ბოლო ნახვა 2021 წლის აპრილი.

ბექა მშვილდაძე - ოპერატორი, ტელეკომპანია „პალიტრანიუსი“: - „ბერი გაბრიელ სალოსის ქუჩაზე ჩატარებული ანტიტერორისტული სპეცოპერაციის გაშუქება პირდაპირი ეთერის საშუალებით ხდებოდა, რაც მიუღებელი და არაპროფესიონალური მიდგომაა და ეს არ ეხება რომელიმე კონკრეტულ ტელევიზიას, ეს ეხება სრულიად სამაუწყებლო მედიას.

ტელეკომპანიებს პირდაპირ ეთერში არ უნდა ეჩვენებინათ სპეცოპერაციის მიმდინარეობა და ის სამხედრო ტექნიკა, რომელიც ადგილზე იყო მობილიზებული. ჟურნალისტებს უნდა დაეცვათ არსებული წესები, მაგრამ ამ წესებს არავინ არ იცავდა, მათ შორის მეც, რადგან რედაქცია ითხოვდა ახლო კადრებს. თუმცა, აღსანიშნავია ისიც, რომ ოფიციალური უწყებების მიერ მედიის გაფრთხილება გაშუქების ფორმატთან დაკავშირებით არ ყოფილა და ჟურნალისტებს ჰქონდათ იმის საშუალება, რომ ყვითელი ლენტით შემოსაზღვრულ ტერიტორიაზე შესულიყვნენ და მოეპოვებინათ კადრები, უშუალოდ სპეცოპერაციის მიმდინარეობის ეპიცენტრიდან. ვფიქრობ, ამ ყველაფრის აღკვეთა შესაძლებელი იყო, სამართალდამცველებს მეტი სიმკაცრე და ყურადღება რომ გამოეჩინათ.

ბექა პატურაშვილი - ჟურნალისტი ტელეკომპანია „რუსთავი2“: - „ამ შემთხვევაში, ჩვენთან როგორც მედიის, ასევე სახელმწიფო უწყებების პრობლემაც არის, რომლებიც ანტიტერორისტულ სპეცოპერაციებს ატარებს ან საგანგებო სიტუაციების დროს მოქმედებენ. მიუხედავად იმისა, ვინ რა სტანდარტს გიწესებს, ქარტია გზღუდავს თუ კანონი, ამას არ აქვს მნიშვნელობა, რადგან მედიას და რეპორტიორს, პირველ რიგში, უნდა ჰქონდეს საკუთარი ცენზი, უნდა ამოვიდეს უსაფრთხოების სტანდარტიდან და სახელმწიფოებრივი ხედვიდან. ერთის მხრივ, არ უნდა შეუწყოს ხელი თავისი ქმედებით, თუნდაც ერთი სიტყვით ან კადრით. იმას, რომ ვინმე დაზიანდეს, პირიქით ჩვენი ფუნქცია არის ის, რომ ადამიანის უფლებები დავიცვათ და მათი უსაფრთხოება არ დავაყენოთ რისკის ქვეშ. ამიტომ ადამიანი როდესაც ვებზე მუშაობს ხშირად თავად იღებს გადაწყვეტილებას თუ რა მიმართულება უნდა აიღოს, რა აჩვენოს ან რა არ აჩვენოს, რა თქვას, რა არ თქვას ან რა თქვას ისე, რომ აჩვენოს რეალობაც და არ გადაკვეთოს წითელი ხაზები, რომელიც ვიღაცას საფრთხეს შეუქმნის ან შეაფერხებს ოპერაციას. ამ შემთხვევაში ქართულ მედიაში ხშირად პრობლემა არის კვალიფიკაცია,

რეპორტიორების გარკვეულ ნაწილში არის კვალიფიკაციის ნაკლებობა და ეს პრობლემა განსაკუთრებით ჩანს ასეთ მწვავე და ცხელ სიტუაციებში, როდესაც ლაივ რეჟიმში რაღაცები იცვლება და პროცესი არის დაუგეგმავი. უწყვეტი ეთერის დროს ყველაზე ხშირად იჩენს თავს კვალიფიკაციის პრობლემა, ელემენტარულად არ იციან რა ეტაპებია და რა რის შემდეგ უნდა გაკეთდეს თუნდაც ანტიტერორისტული სპეცოპერაციის დროს.

გარდა რეპორტიორების კვალიფიკაციისა, აქ არის ზედა რგოლი - პროდიუსერები და სარედაქციო მიდგომა, პროცესის მართვა, შესაძლებელია სუსტი რგოლი იყოს ადამიანი, რომელიც არის ლაივსა და რეპორტიორს შორის - პროდიუსერი. ასეთ შემთხვევაში საჭიროა წინასწარ განსაზღვრული ხედვები არსებობდეს, რა შემთხვევაში როგორ უნდა მოვიქცეთ, რადგან ტერორიზმი გლობალური პრობლემაა და ფაქტია, რომ ჩვენთანაც ხდება შემთხვევები და უნდა იფიქრონ ადამიანებმა ამაზე, როგორი მიდგომა უნდა გვქონდეს მსგავსი შემთხვევის დროს და როგორი უნდა იყოს მედიის შიდა პოლიტიკა.

გარდა მედიის ხარვეზებისა, აქ არის სახელმწიფო უწყებების პრობლემაც. ბევრი სიტუაცია, რაშიც ისინი ხვდებიან წინასწარ, არ აქვთ განსაზღვრული და გზადაგზა უწევთ რაღაცების სწავლა და დანერგვა, მაგრამ ამ მიმართულებით რაღაც სტანდარტს ჯერ ვერ მიაღწიეს. ბერი გაბრიელ სალოსის ქუჩის სპეცოპერაციის დროს ფაქტობრივად პროცესს ვერ მართავდნენ, რადგან მედია საშუალებების წარმომადგენლები თავისუფლად გადაადგილდებოდნენ სპეცოპერაციის მიმდინარეობის არეალში. საჭირო იყო უფრო მაღალი დონის მენეჯმენტი, მთელი რიგი ინსტრუმენტები შეიძლება არსებობდეს ამისთვის და პროტოკოლი შეიძლება არსებობდეს, რა? როგორ? ვინ? სად შედის? სად არ შედის და როგორ უნდა გაკონტროლდეს ეს ყველაფერი. ვთქვათ რა ინტენსივობით უნდა ყოფილიყო მედიასთან კომუნიკაცია და ასევე უნდა ყოფილიყვნენ ადამიანები, რომლებიც იქ მყოფ ჟურნალისტებს მისცემდნენ მითითებებს, სად და როგორ უნდა ემოქმედათ, ლაივში რა გაეშვათ და რა არ გაეშვათ, რადგან მედია ყოველთვის მოქმედებს მაქსიმალისტური პრინციპით, რათა რაც შეიძლება მეტი მიიღოს, სწრაფად აჩვენოს და მოყვეს იმაზე მეტი ვიდრე სხვას შეუძლია“.

თამთა კაპანაძე - რედაქტორი, საინფორმაციო სააგენტო Report.ge: - „გაბრიელ სალოსის ქუჩაზე მიმდინარე სპეცოპერაციის გაშუქებისასაც სამართალდამცველები ვერ

უზრუნველყოფდნენ პერიმეტრის იმგვარად დაცვა, რომ არ გასაჯაროებულიყო მნიშვნელოვანი დეტალები სპეცრაზმელებისა და ტექნიკის განლაგების შესახებ, რაც საფრთხეს უქმნიდა როგორც სპეცოპერაციაში მონაწილე პირების, ისე ადგილობრივი მოსახლეობას და მედიას.

სამართალდამცველმა უწყებამ მედიასთან კომუნიკაცია დააგვიანა, თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ სამართალდამცველების მოქმედების მიუხედავად, მედიას თავად აქვს ვალდებულება დეტალურად არ გააშუქოს ანტიტერორისტული ან თავდაცვითი ოპერაციები, რამაც შესაძლოა რადიკალური დაჯგუფებების ქმედებების შეცვლა და ოპერაციის ჩავარდნა გამოიწვიოს. ამის ნაცვლად კი ჩვენ ვიხილეთ არაერთი პირდაპირი ჩართვა პრაქტიკულად იმ კორპუსებიდან და კორპუსების ეზოებიდან, სადაც დამნაშავეები იმყოფებოდნენ და სპეცოპერაცია მიმდინარეობდა.

ვხედავდით მეზობელი კორპუსების აივნებსა თუ სახურავებზე მომუშავე ჯგუფებს, რომლებიც ცდილობდნენ, რაც შეიძლება ახლო ხედით ეჩვენებინათ სპეცოპერაციის ადგილი.

ხარვეზები იყო ტერმინოლოგიასთან დაკავშირებითაც. დაუშვებელია დაუდასტურებელ ინფორმაციაზე დაყრდნობით მოქალაქეების მოხსენიება ტერორისტებად და გარკვეულ ეთნიკურ ჯგუფთან მათი დაკავშირება, რადგან ამგვარი ინფორმაცია მხოლოდ ნეგატიურ სტერეოტიპებს აღვივებს და ისედაც სტიგმებით გაჯერებულ საზოგადოებაში ხელს უწყობს დამატებით სტიგმატიზაციას. ამიტომ მნიშვნელოვანია, რომ ადგილზე მომუშავე ჟურნალისტებმა თუ მათმა სარედაქციო ხელმძღვანელებმა ასეთ დროს თავი აარიდონ ამგვარი სავარაუდო კავშირების ხაზგასმას, არამხოლოდ საკუთარ ტექსტებში, არამედ მოქალაქეთა, რესპონდენტთა კომენტარების შერჩევისას.

სპეცოპერაციის გაშუქებისას მედიამ, ერთის მხრივ, არ უნდა მიანიჭოს გადაჭარბებული მნიშვნელობა მომხდარ ამბავს და არ გამოიწვიოს პანიკა საზოგადოებაში, მეორეს მხრივ, მოქალაქეებს მისცეს შესაძლებლობა მიიღოს სრული ინფორმაცია მიმდინარე მოვლენების შესახებ. გაშუქებისას გამოყენებული უნდა ყოფილიყო ნეიტრალური ტონი, ამის ნაცვლად კი ჩვენ ვნახეთ ისტერიული, ეგზალტირებული ტონი პირდაპირი ჩართვებისას, ვხედავდით სახურავებზე მცოცავ

ჟურნალისტებს, რომლებიც მაქსიმალურად ცდილობდნენ ვიზუალური მასალის დეტალიზაციას. ამასთან, სალოსის ქუჩის სპეცოპერაციის გაშუქებისას მედია სათანადო ყურადღებითა და სიფრთხილით არ მოეკიდა ვიდეო და ფოტო კადრების გამოყენებას, განსაკუთრებით დამნაშავეთა ლიკვიდაციის შემდეგ".

4.3. თავდასხმა „საქართველოს ბანკის" ფილიალზე - ზუგდიდი

2020 წლის 21 ოქტომბერს, ქალაქ ზუგდიდში „საქართველოს ბანკის" ფილიალზე განხორციელებულმა თავდასხმამ დიდი რეზონანსი გამოიწვია და ყველა სახის მედიასაშუალების ყურადღება იმ დღეს ზუგდიდში მიმდინარე მოვლენებზე იყო მიპყრობილი. გარდა იმისა, რომ ფაქტი მაღალი საზოგადოებრივი ყურადღებით სარგებლობდა, მსგავსი მოვლენა საქართველოს უახლოეს ისტორიაში, ბოლო 15-20 წლის განმავლობაში პირველი იყო, რამაც კიდევ უფრო დიდი ზეგავლენა მოახდინა საზოგადოებაზე, მედიაზე და ზოგად სიტუაციაეზეც. ბერი გაბრიელ სალოსის სპეცოპერაციისგან, ზუგდიდის შემთხვევა რადიკალურად განსხვავებული იყო, შინაარსითაც და მოქმედების სპეციფიკითაც. მსგავსი ტიპის თავდასხმამ და უპრეცენდენტო რაოდენობის მძევლების აყვანამ, სიტუაცია ფილმის სცენას დაამსგავსა, რისთვისაც შეუძლებელია რომელიმე მედია საშუალება, მით უმეტეს საქართველოში, ამისთვის მზად ყოფილიყო. შესაბამისად, ამ ფაქტის გაშუქებისას მედიას ბუნებრივია, ჰქონდა მანკიერი მხარე და რიგი დარღვევები.

საყურადღებოა ისიც, რომ ზუგდიდში მომხდარი თავდასხმის გაშუქება პირველ ეტაპზე ცენტრალური მედია საშუალებების რეგიონულმა კორესპონდენტებმა და იმ ჟურნალისტებმა დაიწყეს, რომლებიც ქალაქთან უფრო ახლოს იმყოფებოდნენ და ოპერატიულად შეეძლოთ შემთხვევის ადგილზე მისვლა.

ძირითადი შეცდომები და ქაოტური მუშაობის სპეციფიკა სწორედ გაშუქების პირველ ეტაპზე იყო, რაც გასაკვირი არ უნდა იყოს, რადგან ქვეყანაში სადაც, კონკრეტული მიმართულების ჟურნალისტების ნაკლებობაა, რეგიონებში თითქმის შეუძლებელია ისეთი ჟურნალისტის მოძებნა, რომელსაც უშუალოდ საგანგებო სიტუაციების გაშუქების დიდი გამოცდილება ექნება. აქედან გამომდინარე, ბუნებრივია, რომ ტელევიზიებმა კორესპონდენტები თბილისიდან გააგზავნეს და სანამ ისინი

ადგილზე ჩავიდოდნენ, ამბავს რეგიონული ჟურნალისტები აშუქებდნენ, შემდეგ კი ისინი თითქმის ჩამოსცილდნენ პირდაპირ ეთერს.

როგორც უკვე აღვნიშნე, ჩვენი კვლევის საგანს, ტერორისტული აქტების დროს, სამაუწყებლო მედიის მუშაობის სპეციფიკის შესწავლა წარმოადგენს. რამდენად იცავენ ისინი ეთიკურ და სამართლებრივ ნორმებს. „საქართველოს ბანკის“ ფილიალზე თავდასხმის გაშუქების საკვლევ ობიექტებად, ჩვენ 4 ტელევიზია ავირჩიეთ, ესენია:

- „იმედი“
- „საზოგადოებრივი მაუწყებელი“
- „რუსთავი 2“
- „მთავარი“

ზემოთაღნიშნული კერძო ტელეკომპანიები, „იმედი“ რუსთავი 2“ და „მთავარი“ ავირჩიეთ, როგორც იმ დროისათვის ყველაზე მაღალრეიტინგული სატელევიზო მედია საქართველოში, ხოლო „საზოგადოებრივი მაუწყებელი“, როგორც ერთადერთი არაკომერციული სამაუწყებლო მედია ქვეყანაში. თითოეული ამ ტელევიზიის მუშაობის სპეციფიკა ემპირიული კვლევის მიხედვით შევისწავლეთ, რამაც თითოეული ამ მედიის გაშუქების სპეციფიკის დანახვის საშუალება მოგვცა.

ტელეკომპანია „რუსთავი 2“

„საქართველოს ბანკის“ ფილიალში თავდამსხმელის შეჭრიდან დაახლოებით 30 წუთში, ჟურნალისტი პირდაპირ ეთერში ჩაერთო და მტკიცებით ფორმაში ადგილობრივის ინფორმაციაზე დაყრდნობით თქვა, რომ ბანკში 2 შეიარაღებული პირი შეიჭრა, 10:36 წუთიანი ჩართვის პირველ ნახევარში ადგილობრივის ინფორმაციაზე დაყრდნობით აცხადებდა, რომ ბანკში 2 შეიარაღებული პირი იმყოფებოდა და მხოლოდ ჩართვის მეორე ნახევარში თქვა, რომ მისთვის ბანკში შეჭრილთა ზუსტი რაოდენობა ჯერჯერობით უცნობი იყო.

შეიარაღებული დაპირისპირების, მძევლების აყვანის და საგანგებო სიტუაციის დროს, მაუწყებელმა აუდიტორიას უნდა მიაწოდოს ზუსტი და სარწმუნო ინფორმაცია.[23]

[23] მაუწყებლის ქცევის კოდექსი 2009, მუხლი 53, პირველი ქვეპუნქტი https://matsne.gov.ge/ka/document/view/82792?publication=0 ბოლო ნახვა, 2021 წლის აპრილი.

ამასთან, ჟურნალისტმა პირდაპირ ეთერში აჩვენა სპეცრაზმელების, საპატრულო პოლიციის თანამშრომლებისა და ერთ-ერთი სნაიპერის ლოკაცია და ჩამოთვალა ის დანაყოფები, რომლებიც ადგილზე იყვნენ მობილიზებული.

დეტალურად არ გააშუქოთ ანტიტერორისტული ან თავდაცვითი ქმედებები, რამაც შესაძლოა რადიკალური დაჯგუფებების ქმედებების შეცვლა და ოპერაციის ჩავარდნა გამოიწვიოს.[24]

გარდა ამისა, ჟურნალისტმა პირდაპირ ეთერში აღნიშნა, რომ შენობაში მყოფი პირები, მათ შორის, ბანკის თანამშრომლები და იმ დროისათვის ბანკში მყოფი კლიენტები, შეიარაღებულმა პირებმა მძევლად აიყვანეს, თუმცა მძევლების ზუსტი რაოდენობა ჯერჯერობით უცნობია.

BBC - ის რეკომენდაციით, მედია საშუალებამ ტერორიზმთან დაკავშირებული ამბები სწრაფად და ოპერატიულად უნდა გააშუქოს, თუმცა ჟურნალისტმა თავი უნდა შეიკავოს შეფასებისგან. ასევე ჟურნალისტმა უნდა იზრუნოს, რომ მის მიერ მიწოდებულმა ინფორმაციამ მოსახლეობას საფრთხე არ შეუქმნას ან უსარგებლო ტანჯვა არ მიაყენოს ადამიანებს.[25]

მას შემდეგ, რაც შსს-მ ოფიციალური განცხადება გააკეთა და მოუწოდა მედიის წარმომადგენლებს პირდაპირ ეთერში არ ეჩვენებინათ სპეცოპერაციის კადრები, „რუსთავი 2“-მა გაითვალისწინა ეს მოწოდება და შემდეგ ჩართვებში ჟურნალისტები ბანკიდან უსაფრთხო მანძილზე იდგნენ და არ უჩვენებდნენ ბანკის ირგვლივ მიმდინარე მოქმედებებს. პირდაპირ ეთერში და ჩართვის დროს აღნიშნავდნენ, რომ ამას აკეთებდნენ სპეცოპერაციისთვის ხელის არ შეშლისა და სამართალდამცველების უსაფრთხოების მიზნით. სპეცოპერაციის მიმდინარეობის პერიოდში, ჟურნალისტები ითვალისწინებდნენ ამ ფაქტს და მაქსიმალურად ცდილობდნენ პირდაპირ ეთერში არ გამოეჩინათ სპეცრაზმის ტაქტიკური გადაადგილება და ეთერში ტრიალებდა უკვე რედაქტირებული კადრები, რომელიც დღის განმავლობაში იყო გადაღებული. თუმცა

---

[24] საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქარტია, 2016. გ.ვ 14, http://qartia.ge/media/1000907/2017/07/31/86278ccf2a44c8b77de1ad9937657456.pdf ბოლო ნახვა 2021 წლის აპრილი).

[25] BBC https://www.bbc.co.uk/editorialguidelines/guidelines/war-terror-emergencies ბოლო ნახვა 2021 წლის აპრილი.

ჟურნალისტების მიერ მოწოდებულ ინფორმაციაში ოფიციალური წყაროებიდან მიღებული ინფორმაციის ნაკლებობა შეინიშნებოდა.

მაუწყებელმა უნდა გაითვალისწინოს პოლიციისა და სხვა უფლებამოსილი სახელმწიფო უწყებების რჩევები იმ საკითხთან დაკავშირებით, რომლის გაშუქებამ შეიძლება საფრთხე შეუქმნას ადამიანის სიცოცხლეს ან ჯანმრთელობას. მოთხოვნა ინფორმაციის გაშვების ან გაშვებისგან თავის შეკავების შესახებ, როგორც წესი, უნდა დაკმაყოფილდეს მაუწყებლის მიერ.[26]

ტელეკომპანია „იმედი“

„საქართველოს ბანკში“ შეჭრიდან რამდენიმე წუთში ტელეკომპანია „იმედის“ პირდაპირ ეთერში ჟურნალისტების კითხვებს პასუხობდა საქართველოს პრემიერ-მინისტრი გიორგი გახარია, რომელსაც აღნიშნული თავდასხმის შესახებ დაუსვეს კითხვა და მან მიუთითა ჟურნალისტებს, რომ ასეთი ვითარების პირობებში პირდაპირ ეთერში საუბარი და გაშუქება არ შეიძლებოდა. მიუხედავად ამ მითითებისა „იმედის“ ეთერში პრემიერის სიტყვის შემდეგ, ზუგდიდიდან პირდაპირი ეთერი ჩაირთო და წამყვანმა დეტალებში დაიწყო ბანკის ირგვლივ არსებული ვითარების აღწერა. ამ დროს კადრებში კარგად ჩანდა სპეცრაზმელებისა და პოლიციელების განლაგება ბანკის ირგვლივ.

ბანკში შეჭრის შემდეგ ტელეკომპანია „იმედი“ მაყურებელს პირდაპირ ეთერში უჩვენებდა მოსახლეობის ევაკუაციისა. ასევე სპეცრაზმელების, სამართალდამცველების ტაქტიკურ გადაადგილებასა და პოზიციებს ბანკის ირგვლივ.

დეტალურად არ გააშუქოთ ანტიტერორისტული ან თავდაცვითი ქმედებები, რამაც შესაძლოა რადიკალური დაჯგუფებების ქმედებების შეცვლა და ოპერაციის ჩავარდნა გამოიწვიოს.[27]

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ გაშუქების ასეთი სტილი დიდი ხანი არ გაგრძელებულა და ტელეკომპანია „იმედმა“ გაითვალისწინა შსს სამინისტროს მოწოდება, შემთხვევის ადგილიდან პირდაპირი ეთერის შეწყვეტის შესახებ. სამინისტროს განცხადების შემდეგ წამყვანები მთელი სპეც ეთერის განმავლობაში ხაზს

---

[26] მაუწყებლის ქცევის კოდექსი 2009, მუხლი 53, მეექვსე ქვეპუნქტი https://matsne.gov.ge/ka/document/view/82792?publication=0 ბოლო ნახვა, 2021 წლის აპრილი.

[27] საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქარტია, 2016. გ.ვ 14, http://qartia.ge/media/1000907/2017/07/31/86278ccf2a44c8b77de1ad9937657456.pdf ბოლო ნახვა 2021 წლის აპრილი.

უსვამდნენ იმ ფაქტს, რომ პირდაპირ ეთერში კადრების ჩვენება შეგნებულად არ ხდებოდა, სპეცოპერაციის ინტერესებიდან და სამართალდამცველების უსაფრთხოებიდან გამომდინარე. ტელეკომპანია „იმედის“ ეთერში ვიზუალურად ბალანსირებული და რედაქტირებული კადრებით ამბის გაშუქება სპეცოპერაციის ბოლომდე გაგრძელდა, თუმცა მთელი ეთერის განმავლობაში იგრძნობოდა ოფიციალური წყაროებიდან მოწოდებული ინფორმაციის ნაკლებობა.

ტელეკომპანია „მთავარი არხი“

ზუგდიდში, „საქართველოს ბანკის“ ფილიალის თავდასხმის გაშუქებისას „მთავარმა“ ერთ-ერთი ყველაზე ცენტრალური როლი ითამაშა, რადგან სწორედ „მთავარ არხს“ ჩაერთო პირდაპირ ეთერში, თავდამსხმელი ბადრი ესებუა, რომელმაც ამისათვის მძევლის მობილური ტელეფონი გამოიყენა. თავდამსხმელს ჟურნალისტი, მიშა სესიაშვილი გაესაუბრა, რა დროსაც გაჟღერდა მისი მოთხოვნები და საზოგადოებისთვის ცნობილი გახდა უშუალოდ ბანკის შიგნით არსებული ვითარება და მძევლების მდგომარეობა, ასევე თავდამსხმელის მოტივები.

ტერორისტის ან გამტაცებლის მოთხოვნა ან განცხადება ეთერში უნდა გადაიცეს რედაქტირებული სახით, რათა თავიდან იქნეს აცილებული მის მიერ საზოგადოებრივი აზრით მანიპულირება.[28]

მძევლებთან ან ტერორისტებთან/მძევლების ამყვანებთან სატელეფონო ან სხვაგვარმა პირდაპირმა კავშირმა ხელი არ უნდა შეუშალოს სახელმწიფო ორგანოების წარმომადგენლებს კანონით გათვალისწინებული ზომების გატარებაში და საფრთხე არ უნდა შეუქმნას მძევლების სიცოცხლეს.[29]

ტერორისტის მოთხოვნები არ გადასცეთ სრული სახით. ჩვეულებრივ, ასეთი მოთხოვნები შემოკლებული ან რედაქტირებული სახით უნდა გავიდეს ეთერში.[30]

სამწუხაროდ, „მთავარი არხის“ ოფიციალურ Facebook გვერდზე და youtube გვერდზე არ იძებნება, 2020 წლის 21 ოქტომბრის ის კადრები და მასალა, რომელზეც

---

[28] მაუწყებლის ქცევის კოდექსი 2009, მუხლი 53, მეოთხე ქვეპუნქტი https://matsne.gov.ge/ka/document/view/82792?publication=0 ბოლო ნახვა, 2021 წლის აპრილი.

[29] მაუწყებლის ქცევის კოდექსი 2009, მუხლი 53, მეხუთე ქვეპუნქტი https://matsne.gov.ge/ka/document/view/82792?publication=0 ბოლო ნახვა, 2021 წლის აპრილი.

[30] საზოგადოებრივი მაუწყებლის ქცევის კოდექსი 2006, გ.ვ 29, https://cdn.1tv.ge/app/uploads/2017/11/b80766114bede8515fda6dab805e19e5-1510575523.pdf ბოლო ნახვა, 2021 წლის აპრილი.

გვაქვს საუბარი. ტელევიზიის აღნიშნულ გვერდებზე არ იძებნება 3 საათიანი და 6 საათიანი საინფორმაციო გამოშვებები, ასევე შუა დღის სპეც გამოშვებები, რომელიც უშუალოდ ეხებოდა ზუგდიდში მიმდინარე მოვლენებს. ხელმისაწვდომია მხოლოდ გადაცემა, „დღის სტუმარი“ და 9 საათიანი საინფორმაციო გამოშვება, სადაც საუბარია ზუგდიდის სპეცოპერაციის შესახებ, თუმცა ეს უკვე ის მომენტია, როდესაც ზუგდიდის ცენტრში, „საქართველოს ბანკის“ ფილიალში სპეცოპერაცია დასასრულს უახლოვდება. თუმცა, მთავარი არხის ჟურნალისტის პოლიციისადმი დაუმორჩილებლობა და სამართალდამცველების თხოვნის უგულებელყოფა აქაც იკვეთება.

როდესაც პოლიცია ჟურნალისტს მოუწოდებდა, რომ ბანკის შენობიდან მოშორებით გადაენაცვლა, მან მიმართა პოლიციელებს და უთხრა, რომ ხელი არ შეეშალათ მუშაობაში, თუმცა თვითონ პოლიციელების მუშაობისთვის ხელის შეშლას არ ერიდებოდა და ბანკთან მაქსიმალურად ახლოს ცდილობდა მისვლას, სადაც საგამოძიებო მოქმედებები მიმდინარეობდა, უცხო პირთა ყოფნა კი აკრძალული იყო.

ამასთან, ჟურნალისტმა აღშფოთება გამოთქვა პოლიციის მოთხოვნაზე, რომლებიც მოუწოდებდნენ, რომ პირდაპირ ეთერში არ ეჩვენებინათ ბანკში მიმდინარე მოვლენები. ჟურნალისტმა განაცხადა, რომ ამის გარეშე მისთვის წარმოუდგენელი იყო პირდაპირ ეთერში ჩართვა.

ასევე გადაცემა „დღის სტუმარის“ წამყვანმა განაცხადა, რომ თუ თავდამსხმელს სჭირდებოდა გარე პერიმეტრზე არსებული ვითარების გაგება, ამას მედიის გარეშეც შეძლებდა. ვინმე გარედან მიაწვდიდა ამის შესახებ ინფორმაციას და მედიას რატომ არ უნდა გაეშუქებინა პირდაპირ ეთერში არ ესმოდა. ერთის მხრივ, წამყვანის ნააზრევი აზრს მოკლებული არ არის და, რა თქმა უნდა, ნებისმიერ გარეთ მყოფ ადამიანს შეეძლო საკუთარი მობილური საშუალებით პირდაპირ ეთერში ჩაერთო ბანკის ირგვლივ არსებული ვითარება ან თუნდაც თავდამსხმელს ყოლოდა თანამოაზრე, რომელიც მიაწვდიდა ინფორმაციას. თუმცა ჟურნალისტებს, რომლებიც ოფიციალურ მედიასაშუალებებში მუშაობენ, მოქალაქე ჟურნალისტებთან შედარებით ბევრად მეტი პასუხისმგებლობა აკისრიათ და ბევრად მეტი პროფესიული ეთიკისა და შინაგანი მორალური ნორმების გამოვლენა ევალებათ თუ, რა თქმა უნდა, პროფესიონალიზმზე აქვთ პრეტენზია.

ასევე საყურადღებოა, რომ მთავარმა არხმა სხვა ზემოთ ჩამოთვლილი ტელევიზიებისგან განსხვავებით, ზუგდიდში მიმდინარე მოვლენები მეტად პოლიტიკურ ჭრილში განიხილა, მათ შორის, პოლიტიკურ კონტექსტში განიხილა შსს-ს მიერ გავრცელებული მოწოდება - მედიას არ გაეშუქებინა პირდაპირ ეთერში „საქართველოს ბანკში“ მიმდინარე მოვლენები, წინააღმდეგ შემთხვევაში სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობის საკითხი დადგებოდა, რასაც მთელი გადაცემა „დღის სტუმარი“ მიეძღვნა. ჟურნალისტმა რესპონდენტებს, ოპოზიციონერ პოლიტიკოსებს დაუვსა კითხვა, რა დავაშავეთ? ბუნებრივია პოლიტიკოსები ამ საკითხს პოლიტიკურ ჭრილში განიხილავენ, თუმცა ჟურნალისტმა რომელსაც ათეულობით წელი აქვს გატარებული ამ პროფესიაში, მინიმუმ უნდა იცოდეს რა დაარღვია უშუალოდ იმ მედიასაშუალებამ, რომელშიც მუშაობს, ზუგდიდის ამბის გაშუქების დროს და არსებული საგანგებო ვითარებით სპეკულირება არ არის მართებული.

ტელეკომპანია „საზოგადოებრივი მაუწყებელი“

„საზოგადოებრივმა მაუწყებელმა“ ქალაქ ზუგდიდში „საქართველოს ბანკის“ ფილიალში შეჭრის ფაქტის გაშუქებას, ზემოთ ჩამოთვლილი ტელევიზიებიდან ყველაზე კარგად გაართვა თავი, რადგან დასაწყისიდანვე მათი გაშუქების სპეციფიკა იყო, ოპერატიული, ორგანიზებული და მკვეთრად დაბალანსებული. „პირველ არხს“ არ უჩვენებია კადრები პირდაპირ ეთერში და მხოლოდ წინასწარ გადაღებული და რედაქტირებული კადრები აჩვენა მაყურებელს. წამყვანმა ხაზგასმით აუწყა მაყურებელს, რომ შემთხვევის ადგილიდან პირდაპირი ტრანსლაცია გამიზნულად არ ხდებოდა, რათა სპეცოპერაციის მიმდინარეობისთვის ხელი არ შეეშალათ და საფრთხე არ შეექმნათ სამართალდამცველებისთვის. ამასთან, „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ ეთერში არ გასულა ვარაუდები და ადგილობრივების ბუნდოვანი კომენტარები, რომლებიც სხვა ტელევიზიებში ჭარბად იყო.

ოპერატიულად მიაწოდეთ საზოგადოებას ზუსტი ინფორმაცია ტერორისტული აქტის და მისი შედეგების შესახებ. თავი შეიკავეთ ემოციური და სუბიექტური

შეფასებებისგან. აუდიტორიას მიაწოდეთ ობიექტური ინფორმაცია, რათა მან თავად შეძლოს გარკვევა, ვინ არის დამნაშავე, რა დანაშაულს სჩადის და ვის წინააღმდეგ.[31]

სხვა ტელევიზიებისგან განსხვავებით, „საზოგადოებრივ მაუწყებელს“ შს სამინისტროს მოწოდება არ დასჭირვებია გაშუქების სპეციფიკასთან დაკავშირებით და დასაწყისიდანვე, სწორ ფორმატში დაიწყო ამბის გადმოცემა, როგორც საგანგებო სიტუაციის გაშუქებას შეესაბამებოდა.

რაც შეეხება ოფიციალურ ინფორმაციას, ბერი გაბრიელ სალოსის ქუჩის ანტიტერორისტული სპეცოპერაციის მსგავსად, ოფიციალური ინფორმაციის ნაკლებობა ზუგდიდის შემთხვევაშიც მკვეთრად შესამჩნევი იყო, თუმცა ეს ორი სპეცოპერაცია ერთმანეთისგან რადიკალურად განსხვავებული შემთხვევები იყო.

ზუგდიდში მიმდინარე სპეცოპერაციის განმავლობაში, შს სამინისტრომ 2 ჯერ გაავრცელა ოფიციალური განცხადება. ამ განცხადებების გაკეთების შუალედში აღნიშნულთან დაკავშირებით პირდაპირ ეთერში პრემიერ მინისტრმაც ისაუბრა. შს სამინისტროს მიერ გავრცელებულ ორივე განცხადებაში, მედიას მოუწოდეს პირდაპირ ეთერში არ გაეშუქებინა სპეცოპერაციის მიმდინარეობა. პირველი განცხადება მედიის დიდმა ნაწილმა უგულებელყო, რის გამოც მეორე განცხადებაში, შს მინისტრის მოადგილის კახა საბანაძის ტონი და განცხადების შინაარსი მედიის მიმართ ძალიან მკაცრი და ცენზურის ნიშნების შემცველიც კი იყო. მიუხედავად ამისა, აღნიშნულ საქმეში 2 ოფიციალური განცხადება საკმარისი არ იყო მედიისთვის, რათა მაყურებლისთვის ამომწურავი ინფორმაცია მიეწოდებინა. ზოგადად შსს-ს საგანგებო სიტუაციების დროს, მედიასთან ურთიერთობისა და ინფორმაციის მიწოდების სტრატეგია არ აქვს და ყველაფერი ფორსმაჟორულ ვითარებაში მიმდინარეობს, რის გამოც მედიას თვითონ უწევს პირველწყაროდ ყოფნა და ინფორმაციის ადგილზე მოპოვება, რომელიც ხშირ შემთხვევაში სიმართლისგან შორს არის. ასევე მნიშვნელოვანია, რომ შსს-ს ასეთ ვითარებაში მუშაობის გამოცდილებაც არ ჰქონდა და შესაბამისად გამოუცდელობა კიდევ ერთი ხარვეზი იყო ინფორმაციის მიწოდებისა და მედიასთან ურთიერთობის კუთხით.

---

[31] საზოგადოებრივი მაუწყებლის ქცევის კოდექსი 2006, გ.ვ 29, https://cdn.1tv.ge/app/uploads/2017/11/b80766114bede8515fda6dab805e19e5-1510575523.pdf ბოლო ნაცვა, 2021 წლის აპრილი.

ზუგდიდის სპეცოპერაციამ ზოგადად შს სამინისტროსა და მის თანამშრომლებს დიდი გამოცდილება დაუგროვა მედიასთან კომუნიკაციის კუთხით, რაც წერეთლის გამზირის სპეცოპერაციის დროს კარგად გამოვლინდა, რადგან მედიისთვის წინასწარ იქნა განსაზღვრული ადგილმდებარეობა საიდანაც შეეძლოთ მუშაობა, ასევე სპეცოპერაციის დასაწყისიდანვე ადგილზე მყოფ ჟურნალისტებს მოუწოდეს პირდაპირი ეთერებიდან გამოსვლისკენ. რომელიც ჟრნალისტების ძალიან დიდმა ნაწილმა, მათ შორის მეც გავითვალისწინე და პირდაპირ ეთერში სპეცოპერაციის დასრულებამდე არ შევსულვარ. თუმცა, ამ შემთხვევაშიც ოფიციალური ინფორმაციის ნაკლებობა იყო, რადგან არ არსებობდა სპიკერი, რომელიც თუნდაც მძევლების გათავისუფლების შესახებ შეატყობინებდა მედიას. განცხადება მხოლოდ სპეცოპერაციის დასრულების შემდეგ გაკეთდა, რომელიც მწირი და არადამაკმაყოფილებელი იყო.

არანაკლები ორგანიზებულობა გამოიჩინეს სამართალდამცველებმა ავლაბრის სპეცოპერაციის დროს, როდესაც „საქართველოს ბანკის“ ფილიალის ირგვლივ, სადაც თავდამსხმელი იყო შეჭრილი და მძევლები ჰყავდა აყვანილი, საკმაოდ დიდი ტერიტორია შემოსაზღვრეს და მედიას მიუჩინეს ადგილი საიდანაც შეეძლოთ ეთერში შესვლა ისე, რომ სპეცოპერაციის მიმდინარეობისთვის ხელი არ შეეშალათ. ადგილზე მეც გახლდით და ვაშუქებდი ბანკზე თავდასხმის ამბავს. წინა შემთხვევების მსგავსად აქაც ოფიციალური ინფორმაციის ნაკლებობა იყო და მხოლოდ სპეცოპერაციის დასრულების შემდეგ გააკეთა კომენტარი, საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის ხელმძღვანელმა ვაჟა სირაძემ, რომელმაც სპეცოპერაციის დასრულებისა და თავდამსხმელის დაკავების შესახებ აუწყა მედიას. თუმცა ესეც არ იყო ამომწურავი ინფორმაცია.

შოთა ფალავანდიშვილი - ჟურნალისტი, ტელეკომპანია „რუსთავი2“: - „ეს იმდენად მოულოდნელი ამბავი იყო, რომ ბუნებრივია გაშუქება იყო ქაოსური. აქ კარდინალურად სხვა მოცემულობა გვქონდა და დაახლოებით ბოლო 15-20 წლის განმავლობაში მსგავსი რამ ქვეყანაში არ მომხდარა. გასათვალისწინებელია ისიც, რომ 2017 წელთან შედარებით კომუნიკაციური საშუალებები კიდევ უფრო განვითარდა და ბუნებრივია, ახალი სახეებიც გამოჩნდნენ მედიაში, უფრო ნაკლები გამოცდილებით და მაღალი ამბიციებით. აქედან გამომდინარე, შეცდომების ნაკადმაც იმატა. მაგრამ, ეს იმდენად უცხო სპეციფიკის რამ იყო, რომ ვთქვა ამის გასაშუქებლად რაიმე სტანდარტი არსებობდა ან

ვინმე შეიძლება სხვანაირად მოქცეულიყო, გამიჭირდება. თუმცა, ერთი რაც ძალიან დამქანცველი იყო და ვთვლი, რომ ეს ტრენდი შესაცვლელი არის, ეს არის უწყვეტი ეთერები, რომელიც აბსოლუტურად ყველა ტელევიზიის საშუალებით გადაიცემოდა. ეს ყოველივე ქმნიდა მეტად მძაფრ ფონს და ჩემი აზრით, მეტ სტიმულირებას აძლევდა იქ მყოფ ტერორისტს, რომელიც უკვე ჩატაევისგან და მისი ბანდისგან განსხვავებით, ტელეფონითაც იყო აღჭურვილი, ტელევიზორსაც უყურებდა და სმარტფონის მეშვეობით ყველა სატელევიზიო და სოციალურ მედიას ეცნობოდა, რითაც კიდევ უფო დიდი ძალა მიეცა იმისთვის, რომ მეტი სითამამით დაეწყო გამოძალვა, ტერორი და ადამიანების დაშინება.

თანამედროვე ტექნოლოგიებმა, ინტერნეტზე ულიმიტო წვდომამ სტანდარტების დაცვა გაართულა, გაზარდა „ფეიკ“ ნიუსების გავრცელების საფრთხე და შავ დღეში ჩააგდო ჟურნალისტები. ტელემედია საშუალებებზე მეტად, ხშირად ონლაინ მედიასაშუალებები არღვევენ სტანდარტს, შესაბამისად ძალიან ცუდად გაშუქდა, მაგრამ ამას მე ვაბრალებ იმას, რომ იყო უპრეცედენტო. ასევე, არ არსებობს შემუშავებული სტანდარტი მსგავსი ტიპის კრიზისული სიტუაციების დროს, როგორ უნდა იმოქმედოს სახელმწიფომ და რა გეგმის მიხედვით უნდა მიმდინარეობდეს თუნდაც ტელევიზიებთან კომუნიკაცია.

ერთ თვეში, მსაგავსი რამ წერეთლის გამზირზე, რომ მოხდა უკვე სპეციალური ეთერები არ ყოფილა და იყო მხოლოდ საინფორმაციო გამოშვებები, რადგან მედიასთან სწორი კომუნიკაცია მოხდა, შესაბამისად ამას სჭირდება უსაფრთხოების ანალიზი. ასეთივე მიდგომა, რომ ყოფილიყო ზუგდიდის შემთხვევაშიც, ყველაფერი ბევრად უკეთ იქნებოდა“.

ლაშა ჯავახიშვილი - ჟურნალისტი, ტელეკომპანია „პალიტრანიუსი“: - „ზუგდიდში, ბადრი ესებუას აყვანის სპეცოპერაცია მედიისთვის გასაშუქებლად არც თუ ისე მარტივი საქმე იყო, იქიდან გამომდინარე, რომ ანტიტერორისტული სპეცოპერაციის გაშუქების დროს მედიას მთელი რიგი სტანდარტების დაცვა და მისი გათვალისწინება მოეთხოვება. ჩემი, როგორც უშუალოდ სპეცოპერაციის ადგილზე მომუშავე ჟურნალისტის დაკვირვებით, აღნიშნულ სტანდარტებს ბევრი მედიასაშუალება ნამდვილად არ იცავდა, მიუხედავად იმისა, რომ სპეცოპერაციის მიმდინარეობის

დეტალების არგაშუქებასთან დაკავშირებით სამართალდამცველებმა არაერთხელ მოგვიწოდეს. იყვნენ მედიის წარმომადგენლები, რომლებიც იცავდნენ, ან ცდილობდნენ რომ დაეცვათ, ანტიტერორისტული სპეცოპერაციის დროს მასმედიის წარმომადგენლებისთვის განსაზღვრული სტანდარტები. მიუხედავად მთელი რიგი ნორმების დარღვევისა და გაუთვალისწინებლობისა, საერთო ჯამში მედიის მუშაობა შემიძლია ნორმალურად შევაფასო, იქიდან გამომდინარე, რომ ჟურნალისტებმა და ოპერატორებმა რიგ საკითხებთან დაკავშირებით სამართალდამცველებს სპეცოპერაციის წარმატებით დასრულებისთვის ხელი ნამდვილად შეუწყვეს.

რაც შეეხება ოფიციალურ ინფორმაციაზე წვდომას, რაც მედიისთვისაც და ზოგადად, მოქალაქეებისთვისაც საჯარო უნდა ყოფილიყო, ამ მხრივ სახელმწიფო უწყებები ინფორმაციას საკმაოდ დაგვიანებით ავრცელებდნენ. სახელმწიფო სტრუქტურებს, მათ შორის შსს-ს და სუს-ს, აუცილებელი ინფორმაციის გავრცელების თვალსაზრისით, ვფიქრობ, მეტად ოპერატიულად უნდა ემუშავა“.

ბექა პატურაშვილი - ჟურნალისტი, ტელეკომპანია „რუსთავი2“: - „ზუგდიდის შემთხვევაში სიტუაცია სალოსის სპეცოპერაციისგან განსხვავდებოდა. აქ უკვე ოფიციალური უწყებებისგან იყო გაშუქების ფორმატთან დაკავშირებით მოწოდებები, რომლის დაცვაც გარკვეულ არხებზე მოხერხდა, მათ შორის ჩვენს არხზეც. ბანკზე თავდასხმის გაშუქების დროსაც, თავი იჩინა ჟურნალისტების კომპეტენციის საკითხმა. ხშირად მედიაში დიდ პრობლემას წარმოადგენს საჭირო ადამიანების საჭირო ადგილას მოხვედრა, მე ამას ასე ვხედავ. ყველას არ შეუძლია რაღაც სიტუაციებში გამართულად იმუშაოს, მაგრამ ამას აქვს მეორე მხარეც და თავისებური არგუმენტი, რაზეც შეიძლება ვიმსჯელოთ. თუ ადამიანი პირველად არ მოხვდა რაღაც სიტუაციაში, ის ვერასოდეს ვერ მოხვდება ამ სიტუაციაში, ანუ ვიღაც სადღაც ყოველთვის პირველად ხვდება, მაგრამ მე ვფიქრობ, რომ როდესაც ადამიანი პირველად ხვდება რაღაც სიტუაციაში, მას უნდა ჰქონდეს გარკვეული ცოდნა იმიტომ, რომ ეს არ არის სათამაშო. შედარება რომ გავაკეთოთ, მე რომ შევიდე თვითმფრინავის კაბინაში და მოვთხოვო პილოტს დამსვას საჭესთან, არაადეკვატური იქნება და არ შეიძლება მან საჭე დამითმოს, იგივეა აქაც. ჩემი აზრით, ქვეყანაში შედარებით მაღალი სტანდარტი რომ მივიღოთ, საჭიროა განვითარებაზე ვიზრუნოთ.

ამასთან, ზუგდიდში გამოჩნდა სხვადასხვა პლატფორმების ფორმატიდან გამომდინარე გარდაუვალი პრობლემები. როდესაც ადამიანს უწყვეტი პირდაპირი ეთერი აქვს სოციალური ქსელის მეშვეობით მესმის, რომ ამას ვერ გათიშავს მაგრამ ამ შემთხვევაშიც შეიძლება გარკვეული სტანდარტების დაცვა, თუნდაც კადრის შეცვლა, კამერის ჟურნალისტისკენ მოტრიალება და უბრალოდ კადრის გარეშე ამბის მოყოლა.

ზუგდიდის შემთხვევაშიც, ისევე როგორც გაბრიელ სალოსის ქუჩის შემთხვევაში, შეიმჩნეოდა გარკვეული უმართავი პროცესი და საკითხების დაულაგებლობა, რამდენიმე საათის განმავლობაში მაინც. უკვე ვისაუბრე ამაზე, მაგრამ საერთოდ არ არის საჭირო ვინმეს მხრიდან ჟურნალისტისთვის მითითება თუ როგორ უნდა მოიქცეს, რა გაუშვას ეთერში ან რა არ უნდა გაუშვას, თვითონ ჟურნალისტმა უნდა იცოდეს რა და როგორ უნდა გააკეთოს. თუმცა, როდესაც არსებობენ ჟურნალისტები, რომლებსაც არ აინტერესებთ არანაირი სტანდარტი და არ აინტერესებთ მათ მიერ გავრცელებულ ინფორმაციას რა მოჰყვება, ამ შემთხვევაში უნდა არსებობდეს ვინმე, ვინც ამის პრევენციაზე იფიქრებს და მე ვფიქრობ, რომ უნდა არსებობდეს ასეთი ხალხი ვინც მათ გააკონტროლებს, რადგან რაღაცის ეთერში გასვლა ან არ გასვლა შესაძლოა ისეთივე მნიშვნელოვანი იყოს იმ მომენტში, როგორც მაგალითად, რომელიმე სპეცრაზმელის სწორად დამიზნებული იარაღი“.

თამთა კაპანაძე - რედაქტორი, საინფორმაციო სააგენტო Report.ge: - „ზუგდიდში, „საქართველოს ბანკის“ ფილიალზე თავდასხმას მედია პირდაპირ ეთერში აშუქებდა და მაყურებელს დეტალურად აჩვენებდა ადგილზე მიმდინარე მოვლენებს, ასაჯაროებდა ყველა დეტალსა თუ ვარაუდს, რის შესახებაც ინფორმაციის მოპოვებას ახერხებდა. მათ შორის, პირდაპირ ეთერში გადასცემდა სპეცოპერაციის დეტალებს, ჟურნალისტები აკონკრეტებდნენ, რამდენი ადამიანი ჩანდა შენობაში, რამდენი ადამიანი გამოჰყავდათ შენობის ცენტრალური შესასვლელიდან თუ სათადარიგო კიბით, რამდენ სპეცრაზმელს ხედავდნენ და რომელ ლოკაციებზე იყვნენ განთავსებული ეს სპეცრაზმელები, ჩართვებში ჩანდა პოლიციელთა გადაადგილება, შეიარაღება და რაც მთავარია მძევლები, რომელთა სიცოცხლეც ბანკში შეჭრილი პირის მხრიდან საფრთხეში იყო.

სპეცოპერაციის მიმდინარეობის გაშუქებისას მნიშვნელოვანი იყო, რომ ჟურნალისტების საქმიანობით ხელი არ შეშლოდა სპეცოპერაციას და საფრთხე არ

შექმნოდათ ადამიანებს, ამ შემთხვევაში სამართალდამცველებს, მძევლებსა და ბანკის მიმდებარედ შეკრებილ ცნობისმოყვარე მოქალაქეებს. მედიის წარმომადგენლები მეტი პასუხისმგებლობით უნდა ეკიდებოდნენ პირდაპირ ეთერში კრიმინალური ფაქტების გაშუქებას, მათ კარგად უნდა გაიაზრონ ის შედეგები, რაც შესაძლოა, გადაცემული კადრებისა და ინფორმაციის გამო დადგეს.

რაც შეეხება სამართალდამცავ უწყებებს, ყველაზე მცირე, რაც შეიძლებოდა მათ გაეკეთებინათ, იყო სპიკერის გამოყოფა, რომელიც მიაწვდიდა მედიას ინფორმაციას ოპერაციის იმ დეტალებზე, რის გასაჯაროებასაც იმ დროისთვის მიზანშეწონილად მიიჩნევდა. ასევე, მედიას განუსაზღვრავდა სამუშაო არეალს იმგვარად, რომ აღნიშნულ ლოკაციაზე არც ჟურნალისტების სიცოცხლეს შექმნოდა საფრთხე და არც სამართალდამცველების.

საფრთხის დანახვისთანავე შსს-ს მედიასთან უნდა ჰქონოდა მჭიდრო და პროაქტიული კომუნიკაცია, თუმცა ჩვენ მედიასა და სამართალდამცავ უწყებას შორის აღნიშნულ თანამშრომლობას ვერ ვხედავდით. მედია ამჯერად, ისევე როგორც სხვა შემთხვევებში, მუშაობდა ფორსმაჟორში და ბუნებრივია, რომ სამართალდამცავ უწყებასთან კომუნიკაციის არარსებობის პირობებში, უშვებდა შეცდომებს.

მედია მზად უნდა იყოს, რომ არ აჩვენოს, "შეელიოს" კადრებსა და ფოტომასალას, რისი გაშვებაც შესაძლოა სარისკო იყოს სატელევიზიო ეთერსა თუ სოციალური ქსელების ლაივსტრიმში, ეს შეიძლება იყოს მოკლული ან დაჭრილი ადამიანები, განსაკუთრებული ძალადობა ან მძევლად აყვანილი ადამიანების ჩაგვრა, მოკლედ, ყველაფერი, რაც შესაძლოა ადამიანის ღირსებისა და პატივის შემლახავი იყოს ან დამაზიანებელი მისი ფსიქიკისთვის.

პირდაპირი ეთერი არ უნდა იქცეს ინსტრუმენტად ტერორისტებისა თუ სხვა კატეგორიის დამნაშავეებისთვის, პოლიტიკური სახის ზეწოლის ან ნებისმიერი სხვა სახის მანიპულაციისთვის. მედია უნდა აცნობიერებდეს, რომ მოვლენების გაშუქებისას, შესაძლოა კამერამ თუ მიკროფონმა ხელი შეუწყოს ძალადობას ან მოვლენების ესკალაციას. ამიტომ, განსაკუთრებულ შემთხვევებში მედია უნდა იყოს მზად, იმისთვისაც კი, რომ დატოვოს მოვლენების ეპიცენტრი, რათა ზემოთ აღნიშნული რეაქცია და შედეგი არ გამოიწვიოს. ამასთან, მედიამ უნდა გაითვალისწინოს ტონი და

ლექსიკა, სწორად არჩევდეს ტერმინებს, როდესაც საქმე ადამიანების სიცოცხლესა და ჯანმრთელობას, პატივსა და ღირსებას ეხება, რადგან პროცესის ნებისმიერ მონაწილეს ეყოლება ნათესავი, ახლობელი, ოჯახის წევრი, რომელსაც შესაძლოა მიადგეს ტანჯვა ან დადგეს გამოუსწორებელი ზიანი“.

5. სამაუწყებლო მედიის თვისობრივი ანალიზი

ქართულ სატელევიზიო მედიის ინფორმაციის გადმოცემის ფორმატი ერთფეროვანია და თითქმის, ყველა ტელევიზია ახალ ამბებს ერთი და იგივე სტილში გადმოსცემს. ამასთან ძალიან ბევრი ტელევიზიის მთავარი საინფორმაციო გამოშვებები ერთმანეთს ემთხვევა და თითქმის ერთი და იგივე ამბებით აქვთ ბადე შევსებული, თუმცა ამბის გადმოცემის შინაარსი მკვეთრად განსხვავდება ერთმანეთისაგან ტელევიზიის სამაუწყებლო პოლიტიკიდან გამომდინარე. ამბის გადმოცემის ძირითადი მეთოდებია:

- ჩართვები
- სიუჟეტები
- ნიუსური ამბები

თითოეული ტელევიზიის საინფორმაციო გამოშვებები, ამბის გადმოსაცემად ძირითადად ამ სამ ფორმატს იყენებს და ასევე ძალიან პოპულარულია სპეციალური გამოშვებები, რომლებიც მთელი დღის განმავლობაში პირდაპირ ეთერში მაუწყებლობას გულისხმობს. ეს ფორმატი ძირითადად საგანგებო სიტუაციების დროს გამოიყენება, თუმცა დაკვირვებამ აჩვენა, რომ ტელევიზიები არ აკვირდებიან საგანგებო ვითარების შინაარს, მაგალითად: საგანგებო ვითარება შეიძლება გამოწვეული იყოს კრიმინალით, სუიციდით, აქციებით, არჩევნებით, ტერორისტული აქტით და სხვა. შესაბამისად, პირველ რიგში საყურადღებოა რამ შექმნა საგანგებო ვითარება და ამის შემდეგ უნდა განისაზღვროს საგანგებო ვითარების დროს მაუწყებლობის ფორმატი.

ჩვენი დაკვირვების შედეგად გამოვლინდა, რომ ტელევიზიები ორიენტირებული არიან რეიტინგზე და მაყურებლის ყურადღების მისაქცევად მზად არიან სრულად დაარღვიონ არსებული ნორმები, წესები და კანონი. შესაძლოა ეს გამოწვეულია იმით, რომ საქართველოში ძალიან ბევრი სამაუწყებლო მედიაა, სარეკლამო ბაზარი კი მათ მოთხოვნებს სრულად ვერ აკმაყოფილებს და თითოეული მათგანი ცდილობს მაყურებლის ყურადღების ნებისმიერი მეთოდით მიპყრობას, ან ეს გამოწვეულია იმით, რომ გარდა არაკვალიფიციური ჟურნალისტების სიმრავლისა, თვითონ ტელევიზიის ხელმძღვანელობაშიც მრავლად არიან არაკვალიფიციური კადრები და თითოეულ

სიტუაციასთან ერთნაირი მიდგომა აქვთ განურჩევლად შემთხვევის შინაარსისა და სირთულისა.

რადგან კვლევის ფარგლებში საგანგებო ვითარების დროს მაუწყებლობაზე გვაქვს საუბარი, ძირითადი ყურადღება გავამახვილეთ სპეციალურ გამოშვებებზე. ქართული სამაუწყებლო მედიის საგანგებო ვითარებაში მუშაობის თვისობრივი კვლევა, ბერი გაბრიელ სალოსის ქუჩაზე ჩატარებული ანტიტერორისტული სპეცოპერაციისა და ზუგდიდში, „საქართველოს ბანკის“ ფილიალზე თავდასხმის ფაქტის გაშუქებაზე დაკვირვებით მოვახდინეთ.

დაკვირვებამ აჩვენა, რომ ბერი გაბრიელ სალოსის ქუჩაზე ჩატარებული ანტიტერორისტული სპეცოპერაციის მიმდინარეობის დროს, თითქმის ყველა ტელევიზია, მათ შორის „იმედი“ „რუსთავი2“ და „საზოგადოებრივ მაუწყებელი“ საგანგებო ეთერის ფორმატში აშუქებდნენ სპეცოპერაციის მიმდინარეობას და ამბები პირდაპირ ეთერში გადაიცემოდა, მაშინ როდესაც ანტიტერორისტული სპეცოპერაციის ან ტერორისტული აქტის დროს პირდაპირ ეთერში მაუწყებლობა და ამბის დეტალური აღწერა დაუშვებელია, თუმცა საგანგებო ეთერში მაუწყებლობა პირდაპირი კადრების ჩვენების გარეშეც შესაძლებელია.

დეტალურად არ გააშუქოთ ანტიტერორისტული ან თავდაცვითი ქმედებები, რამაც შესაძლოა რადიკალური დაჯგუფებების ქმედებების შეცვლა და ოპერაციის ჩავარდნა გამოიწვიოს.[32]

ამ მიმართულებით ვითარება გაბრიელ სალოსის სპეცოპერაციიდან 4 წლის შემდეგაც დიდად არ შეცვლილა, რადგან ზუგდიდში ჩატარებული სპეცოპერაციის დროს, მედიამ ზუსტად იგივე შეცდომები დაუშვა მიუხედავად იმისა, რომ ამ ჩავარდნების გამოსასწორებლად სრულიად ქართულ მედიას 4 წელი ჰქონდა. პირადი გამოცდილებიდან გამომდინარე შეიძლება ითქვას, რომ მედია საშუალებები მიუხედავად ბაზრის მოთხოვნებისა არ ზრუნავენ სხვადასხვა მიმართულების მქონე კვალიფიციური ჟურნალისტების შექმნას და ორიენტირებულები არიან მხოლოდ პოლიტიკის მიმართულებაზე, არ ატარებენ შესაბამის ტრენინგებს და არ ზრუნავენ

[32] საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქარტია, 2016. გ.3 14, http://qartia.ge/media/1000907/2017/07/31/86278ccf2a44c8b77de1ad9937657456.pdf ბოლო ნახვა 2021 წლის აპრილი.

საკუთარი კადრების განვითარებაზე, რაც მსგავსი საგანგებო სიტუაციების დროს მკვეთრად იჩენს თავს.

ჩვენს მიერ გამოკვლეული მედია საშუალებებიდან:

- „იმედი“,
- „საზოგადოებრივი მაუწყებელი“
- რუსთავი2“
- „მთავარი არხი“

ზუგდიდში ჩატარებული სპეცოპერაციის დროს, გამონაკლისი მხოლოდ „საზოგადოებრივი მაუწყებელი“ იყო, ყველა სხვა ტელევიზიას საგანგებო ეთერი ჰონდა და შემთხვევის ადგილიდან პირდაპირ ეთერში მაუწყებლობდა, მათ შორის „მთავარმა არხმა“ ყველაზე უხეშად დაარღვია ეთიკური ნორმები და კანონი, პირდაპირ ეთერში აჩვენა თავდამსხმელი და ბანკში მყოფი მძევლები, ასევე პირდაპირ ეთერში გააჟღერა თავდამსხმელის მოთხოვნები. ამ სპეცოპერაციის დროს, მხოლოდ „საზოგადოებრივმა მაუწყებელმა“ დაიცვა ზედმიწევნით მსგავსი ვითარების დროს მაუწყებლობის წესები და სამართალდამცავი უწყებების რეკომენდაციები, რადგან ზემოთ ჩამოთვლილი ტელევიზიებიდან, მხოლოდ პირველი არხი არ იყო საგანგებო ეთერის რეჟიმში და მხოლოდ საინფორმაციო გამოშვებების დროს უყვებოდა მაყურებელს ზუგდიდში მიმდინარე სპეცოპერაციის შესახებ და წინასწარ გადაღებულ, რედაქტირებულ კადრებს აჩვენებდა მაყურებელს.

6. დასკვნა

დასკვნის სახით, შეიძლება ითქვას, რომ ჩვენს მიერ ჩატარებულმა კვლევამ ტერორიზმთან დაკავშირებული საკითხების ქართულ სატელევიზო მედიაში გაშუქების ხარვეზები და ძირითადი პროფესიული ჩავარდნები ცხადყო. ჩვენი კვლევის ძირითადი მიზანი იყო, გაგვერკვია თუ რამდენად იცავდნენ მედიის წარმომადგენლები ტერორიზმთან დაკავშირებული საკითხების გაშუქებისას სტანდარტებს, რეკომენდაციებს, კანონებს და რამდენად კვალიფიციური ჟურნალისტები აშუქებდნენ ამ ამბებს.

ჩვენს მიერ ჩატარებული კვლევის შედეგად ნათელი გახდა, რომ ქართულ სატელევიზიო მედიაში ტერორიზმთან დაკავშირებული ამბების გაშუქების მიმართულებით დიდი პრობლემებია. ძირითადი ხარვეზები, რომელიც გამოიკვეთა არის შემდეგი: ქართული სატელევიზიო მედია სრულად არღვევს მედია ქარტიის, „საზოგადოებრივი მაუწყებლის წესებს", „მაუწყებლის ქცევის კოდექსსა" და საერთაშორისო სტანდარტებს, არ ერიდება ისეთი მასალის პირდაპირ ეთერში გაშვებას, რომელიც საფრთხეს უქმნის სპეცოპერაციის მიმდინარეობას, სამართალ დამცველებისა და რიგითი მოქალაქეების ჯანმრთელობას. ხშირ შემთხვევაში ადგილი აქვს ჟურნალისტების კვალიფიკაციის ნაკლებობასა და მათი მხრიდან ეთიკის ნორმების უხეშ დარღვევას. რა თქმა უნდა, კვლევის ფარგლებში გამოვლინდა გამონაკლისებიც. კვლევამ ასევე აჩვენა, რომ მიუხედავად კარგი მაგალითებისა და მიღებული გამოცდილებისა, წლების განმავლობაში ქართულ სატელევიზო მედიაში ამ მიმართულებით წინსვლა არ მომხდარა და სტანდარტები 2020 წელსაც იგივე ნაირად ირღვეოდა, როგორც ეს 2017 წელს ხდებოდა.

ამასთან, ზემოთ ჩამოთვლილი ხარვეზების გარდა, ჩვენს მიერ გამოკითხული მოქმედი ჟურნალისტები ერთხმად საუბრობენ სარედაქციო პოლიტიკის პრობლემასა და რეპორტიორების ზემდგომი პირების კვალიფიკაციის ნაკლებობაზე. ასევე გამოიკვეთა ხარვეზები ოფიციალური სამართალდამცავი უწყებებისა და მედიის კომუნიკაციის მიმართულებით, ჟურნალისტები ტერორისტული საკითხების გაშუქებისას ოფიციალური უწყებების დაბნეულობასა და ოფიციალური ინფორმაციის დაგვიანებაზე საუბრობენ.

საბოლოო ჯამში, კვლევის შედეგად მიღებული მონაცემების შესაბამისად შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ტერორიზმთან დაკავშირებული საკითხების გაშუქების მიმართულებით სატელევიზიო მედიაში არ არიან კვალიფიციური ჟურნალისტები, რომლებიც სპეციალურად იქნებიან მომზადებული მსგავსი თემების გასაშუქებლად, ამასთან მედია არ ერიდება რეიტინგის მოსაპოვებლად დაარღვიოს ფუნდამენტური სტანდარტები და ამ მეთოდით მოიპოვოს რეიტინგი და მაყურებლის ყურადღება.

ბიბლიოგრაფია

1. Alexander Y; Latter R, (1990). Terrorism and the Media: Dilemmas for Government, Journalists and the Public, Macmillan Publishing Co, Inc, p. 35-66.
2. Alexander, Yonah (1976). International Terrorism: National, Regional and Global Perspectives. New York: Praeger, გ.ვ. 14.
3. Cohen – Almagor, Raphal. (2005). Objective reportig in the media: Phantom rather than panacea. In Raphael Cohen-Almagor, Speech, media and ethics: The limits of free expression (chap. 4). Houndmills & New York, NY: Palgrave – Macmillan
4. BBC (https://www.bbc.co.uk/editorialguidelines/guidelines/war-terror-emergencies ბოლო ნახვა 2021 წლის აპრილი).
5. Druckman J. N. (2001). The Implications of Framing Effects for Citizen Competence. *Political Behavior, Vol.23,No.3,* 225-256. (ხელმისაწვდომია: http://www.uky.edu/AS/PoliSci/Peffley/pdf/Druckman%202001%20PB%20IMPLICATIONS%20OF%20FRAMING%20EFFECTS%20FOR%20CITIZEN%20COMPETENCE.pdf ბოლო ნახვა 2021 წლის მაისი)
6. Dowling, Ralph E. (1986). Terrorism and the media: A rhetorical genre. Journal of Communication, 36(1). Pp. 12 -24.
7. Entman, R. M. (1993). Framing: Toward clarification of a fractured paradigm. გ.ვ 51-58.ხელმისაწვდომია: https://eclass.uoa.gr/main/login_form.php?next ბოლო ნახვა 2021წლის მაისი)
8. Ganor B. (2009) Trends in Modern International Terrorism. Springer, New York, NY, Chapter 2. pp.11 -42.
9. Gerbner, G & Gross, L. (1979). Living with television: The violence profile. In Horace Newcomb (ED.) Television: The critical view. New York, NY: Oxford university Press.
10. Grelinsten R.D. Terrorism as Political Communication: The relationship between the Controller and the Controlled// Contemporary research on terrorism/ Ed. By Paul Wikinson and Alasdair M. Stewars. Aberdeen: Aberdeen University Press, 1987
11. Gerrits, Robin P.J.M. (1992). Terrorists' perspectives: Memoris, In David L. Paletz & Alex P. Schmid (Eds), Terrorism and the media (pp.29-61).

12. Hoffman B. Inside Terrorism/ Rev. and exspanden ed. N.Y.: Columbia Universitiy Press, 2006, pp.225.
13. Laqueur, Walter (1987). The Age of Terrorism (2nd ed). Boston: Little & Brown. გ.ვ. 143.
14. League Convention (1937). Convention for the Prevention and Punishment of Terrorism. Article 1(2).
15. Laqueur, Walter. (1987). The age of terrorism. Boston, MA: Little, Brown & CO.
16. Nisbet M. C. & Mooney C. (2007). Framing Science. *Science and Society, VOL. 316. 56*
17. Rapoport, David C. (1977, November 26). The Government Is Up in the Air over Combating Terrorism. National Journal, 9, 1853-1856.
18. Reese, Stephen D. (1990). The news paradigm and the ideology of objectivity: A socialist at the Wall Street journal. Critical Studies in Mass Communication, 7, pp. 390 – 409.
19. Schmid A. (2004). Terrorism-the definitional problem, Case Western Reserve Journal of International Law. V.36. I.2. pp.375-419. Section 11: War, Terror and Emergencies, (ხელმისაწვდომია: http://www.bbc.co.uk/editorialguidelines/guidelines/war-terror-emergencies ბოლო ნახვა, 2021 წლის მაისი).
20. Weaver D. H. (2007). Thoughts on Agenda Setting, Framing, and Priming. *Journal of Communication57,* 142-147. ხელმისაწ ვდომია: http://www.communicationcache.com/uploads/1/0/8/8/10887248/thoughts_on_agenda_setting_framing_and_priming.pdf ბოლო ნახვა 2021 წლის მაისი)
21. Хоффман Б. Терроризм – взгляд изнутри. М.: Ультра.Культура, 2003. С. 191.
22. გაზეთი „კომერსანტი“ (დვალი, 1998 https://www.kommersant.ru/doc/192248 ბოლო ნახვა, 2021 წლის მარტი).
23. მედიის განვითარების ფონდი, 2020. (https://www.hedayahcenter.org/wp-content/uploads/2021/02/Crisis-Publication-GEO.pdf ბოლო ნახვა 2021 წლის აპრილი).
24. მამისეიშვილი დ, 2019. გ.ვ 32, (https://openscience.ge/bitstream/1/1204/1/samagistro%20mamiseishvili.pdf?fbclid ბოლო ნახვა 2021 წლის აპრილი.

25. მაუწყებლის ქცევის კოდექსი 2009, მუხლი 53, პირველი ქვეპუნქტი (https://matsne.gov.ge/ka/document/view/82792?publication=0 ბოლო ნახვა, 2021 წლის აპრილი).
26. „რადიო თავისუფლება“ (წამალაშვილი, 2005 https://www.radiotavisupleba.ge/a/1539546.html ბოლო ნახვა, 2021 წლის მარტი).
27. „რადიო თავისუფლება“, (თარხნიშვილი, 2017 https://www.radiotavisupleba.ge/a/antiteroristuli-operatsia-tbilisshi/28869176.html ბოლო ნახვა, 2021 წლის მარტი).
28. „რადიო თავისუფლება“, (წამალაშვილი, 2003 https://www.radiotavisupleba.ge/a/1530515.html ბოლო ნახვა, 2021 წლის მარტი).
29. სქართველოს საკანონმდებლო მაცნე. საქართველოს კანონი ტერორიზმის შესახებ. (ხელმისაწვდომია: https://matsne.gov.ge/ka/document/view/21796?publication=11 ბოლო ნახვა 2021 წლის მაისი)
30. სუჯაშვილი დავით. (2019). საერთაშორისო ტერორიზმის ანატომია და საქართველო.
31. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი 323-ე მუხლი, (https://matsne.gov.ge/ka/document/view/16426?publication=233 ბოლო ნახვა 2021 წლის მაისი).
32. საინფორმაიცო სააგენტო Report.ge, (https://report.ge/crime/sakartvelodinareobs/ ბოლო ნახვა 2021 წლის მარტი).
33. საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქარტია, 2016. (http://qartia.ge/media/1000907/2017/07/31/86278ccf2a44c8b77de1ad9937657456.pdf ბოლო ნახვა 2021 წლის აპრილი).
34. საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია, 2009 წ. (https://matsne.gov.ge/ka/document/view/82792?publication=0 ბოლო ნახვა, 2021 წლის აპრილი).
35. საზოგადოებრივი მაუწყებლის ქცევის კოდექსი 2006, გ.ვ 29, (https://cdn.1tv.ge/app/uploads/2017/11/b80766114bede8515fda6dab805e19e5-1510575523.pdf ბოლო ნახვა, 2021 წლის აპრილი).

36. ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ საქართველოს ეროვნული სტრატეგია 2019, გ.ვ 4. (http://gov.ge/files/524_69782_874672_rotated_53.pdf?fbclid ბოლო ნახვა, 2021 წლის მაისი).

Ivane Javakhishvli Tbilisi State University

Giorgi Parulava

Terrorist Acts coverage in Georgian TV Media - A Critical Rethinking of the Normative Aspects of Contemporary Practice

Mass communication and media research

The work concludes with a Master's Degree in Social and Political Science

Academic Supervisor: Associate Professor Khatuna Maisashvili

Tbilisi

2021